

მიორში ნაკაშიძე\*

# სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რეპარაციის პრაქტიკა: რიტორიკა და რეალობა უორის

## პოსტსკიტი

20 წლის წინ, როდესაც სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ (ICC) დაიწყო ფუნქციონირება, საერთაშორისო დანაშაულების დაზარებულებს/მსხვერპლებს დაპირდნენ, რომ ICC არა მხოლოდ დასჯიდა დანაშაულების ჩამდენებს, არამედ უზრუნველყოფდა „მართლმსაჯულებას დაზარალებულთათვის“, *inter alia*, რეპარაციის გზით. 20 წლის შემდგომ მხოლოდ ოთხმა საქმემ – *ლუბანგამ (Lubanga)*, *კატანგამ (Katanga)*, *ალ მაჰდიმ (Al Mahdi)* და *ნტაგანდამ (Ntaganda)* – მიაღწია რეპარაციის ეტაპს. ICC-ის რეპარაციის რეჟიმი, რომელიც დამსახურებულად არის აღიარებული უპრეცედენტო და ისტორიულ ნაბიჯად, შემუშავდა თანდაყოლილი შეზღუდვებით – გამორიცხა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა და განავითარა მსჯავრდებაზე დაფუძნებული რეჟიმი. მიუხედავად ამისა, ICC-ის რეპარაციის სისტემის შესახებ რიტორიკამ და „დაზარალებულზე უფრო მეტად ორიენტირებული მართლმსაჯულების“ დაპირებამ მსხვერპლთა უორის გამოიწვია უსაფუძვლოდ მაღალი მოლოდინები. ICC-ის რეპარაციის განვითარებად პრაქტიკაზე დაყრდნობით, წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს, გაანალიზოს დაზარებულზე ორიენტირებული მართლმსაჯულების აღსრულების ძირითადი ასპექტები და ის პრაქტიკული გამოწვევები, რომლებსაც ICC აწყდება რეპარაციული მართლმსაჯულების დაპირების შესრულებისას. სტატიაში წარმოდგენილია მოსაზრება, რომ ICC-ის სტრუქტურულად შეზღუდული და დიდი სიფრთხილით შეთანხმებული რეპარაციის მანდატი, მისი შედეგები და სხვა ხელისშემშლელი ფაქტორები, რომლებიც გამოვლინდა ICC-ის პრაქტიკაში, ყოველთვის უნდა იყოს გათვალისწინებული დაზარალებულებისთვის მიყენებული ზიანის გამოსწორების პროცესში ICC-ის წარმატების შეფასებისას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ICC-ის რეპარაციული მართლმსაჯულების თანმხლები რიტორიკა ყოველთვის გამოიწვევს არარეალურ მოლოდინებს.

\* სამართლის დოქტორი, ნიდერლანდების სამეფოში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩეველი. სტატიაში წარმოდგენილი შეხედულებები ეკუთვნის მხოლოდ ავტორს და მიზნად არ ისახავს იმ ორგანიზაციის ოფიციალური პოზიციის წარმოდგენას, რომელთანაც შეიძლება ავილირებული იყოს ავტორი.

## შესავალი

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (შემდგომში „ICC“ ან „სასამართლო“) ხშირად მოიხსენიებენ, როგორც „მრავალი პირველის“ ინსტიტუტს საერთაშორისო სისხლის სამართალში. ამ ნაშრომის მიზნებისთვის, საკმარისია ითქვას, რომ ICC-ის ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი ასპექტი მისი წინამორბედი სისხლის სამართლის *ad hoc* საერთაშორისო ტრიბუნალებისაგან ყოფილი იუგოსლავიისა და რუანდისთვის არის ის, რომ სასამართლოს სადამფუძნებლო ხელშეკრულებამ – რომის სტატუტმა<sup>1</sup> (შემდგომში „რომის სტატუტი“ ან „სტატუტი“) განსაზღვრა დაზარალებულთა უფლებების ფართო სპექტრი,<sup>2</sup> მათ შორის რეპარაციის უფლება.

საერთაშორისო დანაშაულების კონტექსტში, რეპარაციის ცნება ხშირად გასცემს შეუსრულებელ დაპირებებს, რადგან მასობრივი დანაშაულებრიობის შემთხვევაში, რეპარაციაზე მოთხოვნა გაცილებით აღემატება რეპარაციისთვის საჭირო რესურსს.<sup>3</sup> ინდივიდუალური დაზარალებულის რეპარაციის უფლება არასდროს ყოფილა საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო პროცესების მახასიათებელი, რადგან ორიენტირებულნი იყვნენ მხოლოდ სადამსჯელო მართლმსაჯულების განხორციელებაზე ან სამაგიეროს გადახდაზე.<sup>4</sup> ამის ფონზე, რეპარაციული მართლმსაჯულების ჩარჩოს შემოტანა რომის სტატუტში იყო და არის შეფასებული, როგორც უპრეცედენტო, ისტორიული და ინოვაციური ნაბიჯი სისხლის სამართლის საერთაშორისო მართლმსაჯულებაში. მიუხედავად იმისა, რომ თავად ეს ფაქტი უდავოდ იმსახურებს შექებას, ICC-ის რეპარაციის სისტემის ირგვლივ შექმნილმა რიტორიკამ და ზემოხსენებული ეპითეტებით წარმოქმნილმა, დაზარალებულზე უფრო მეტად ორიენტირებული მართლმსაჯულების დაპირებებმა, სასამართლოს შესაძლებლობების მიმართ დაზარალებულთა შორის გამოწვია დაუსაბუთებლად მაღალი მოლოდინების ტალღა. პრაქტიკამ აჩვენა, რომ რომის სტატუტის რეპარაციული სქემის არსებითი რეალიზაცია ამ რიტორიკისგან შორს დგას.

სასამართლოს ამოქმედებიდან 20 წლის შემდეგ, მხოლოდ ოთხმა საქმემ – *ლუბანგამ*, *კატანგამ*, *ალ მაჰდიმ* და *ნტაგანდამ* – მიაღწია რეპარაციის სტადიას, რომლებშიც მსჯავრდება დადასტურდა სააპელაციო პალატების გადაწყვეტილებებით. ამასთან, ყველა მსჯავრდებული გამოცხადდა გადახდისუუნაროდ. ICC-ის წინაშე გამოძიების პროცესში მყოფი 17 სიტუაციიდან, მოცემული ოთხი საქმე ეხება მხოლოდ ორ ქვეყანას: *ლუბანგა*, *კატანგა* და *ნტაგანდა*

1 სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტი, 2187 UNTS 3 (მიღების თარიღი: 17 ივლისი 1998, ძალაში შესვლა: 1 ივლისი 2002).

2 რომის სტატუტის მიხედვით, დაზარალებულის უფლებები მოიცავს სამ ძირითად მიმართულებას: 1) დაცვა, 2) მონაწილეობა და 3) რეპარაცია.

3 Carsten Stahn, *A Critical Introduction to International Criminal Law* (Cambridge, United Kingdom; New York, NY, USA: Cambridge University Press, 2019), 402, 411.

4 Conor McCarthy, *Reparations and Victim Support in the International Criminal Court* (New York: Cambridge University Press, 2012), 1. იხ. ასევე M. Cherif Bassiouni, "International Recognition of Victims' Rights", *Human Rights Law Review* 6(2) (2006): 203–279.

დაკავშირებულია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ხოლო ალ მაჰდი – ტიმბუქტუში, მალიში ჩადენილ დანაშაულებთან.

ICC-ის რეპარაციის პრაქტიკაზე დაყრდნობით, წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს, გაანალიზოს სასამართლო პროცესების ძირითადი განვითარება და პრაქტიკული გამოწვევები, რომლებსაც ICC აწყდება დაზარალებულთა მიმართ გაცემული დაპირებების შესრულებისას, რომ რეპარაციის მეშვეობით „მართლმსაჯულება ხელშესახებ რეალობად აქციოს“<sup>5</sup> სტატია შედგება ხუთი ნაწილისგან. პირველ ნაწილში მოკლედ მიმოხილულია ICC-ის რეპარაციის რეჟიმის ძირითადი მახასიათებლები, სტატუტის 75-ე მუხლის მიხედვით. მეორე ნაწილი აჯამებს რეპარაციის რეჟიმის ძირითად ელემენტებს, მათ შორის დაზარალებულის ცნებას, რეპარაციის პრაქტიკულ ასპექტებსა და სახეებს. იგი ასევე განიხილავს დაზარალებულთა ნდობის ფონდის (TFV) როლსა და მანდატს, რომელიც არის უნიკალური ადმინისტრაციული ორგანო, შექმნილი სტატუტის 79-ე მუხლის შესაბამისად. მესამე ნაწილი განსაზღვრავს და ანალიზებს ლუბანგას, კატანგას, ალ მაჰდის და ნტაგანდას საქმეების ფარგლებში, რეპარაციასთან დაკავშირებული სამართალწარმოების კონტექსტში მიღებულ ძირითად სასამართლო და პროცედურულ მიგნებებს. შემდეგი ნაწილი ყურადღებას ამახვილებს სასამართლოსა და TFV-ს შორის ურთიერთქმედებაზე რეპარაციის ბრძანებების განხორციელების ფონზე, განსაკუთრებით კი უფლებამოსილ დაზარალებულთა იდენტიფიკაციისა და რეპარაციის ბრძანებების აღსრულების კუთხით. ბოლო ნაწილი აჯამებს და აფასებს რომის სტატუტის რეპარაციული მართლმსაჯულების საზღვრებს და გვთავაზობს, რომ ICC-ის დაზარალებულზე ორიენტირებული მართლმსაჯულების თანმხლები რიტორიკა უნდა დაბალანსდეს ICC-ს რეპარაციის რეჟიმის თანდაყოლილი შეზღუდვების განმარტებით.

## 1. რომის სტატუტის რეპარაციის რეჟიმის მიმოხილვა

რომის სტატუტის რეპარაციის სქემა არა მხოლოდ სასამართლოს გამორჩეული ასპექტია, არამედ გადამწყვეტი კომპონენტია, რომლის ეფექტიანი განხორციელება, გარკვეულწილად, განსაზღვრავს სასამართლოს მთლიან ქმედითობას.<sup>6</sup> რეპარაციის მიზანია არა მსჯავრდებული პირების დასჯა, არამედ მათი დავალდებულება, გამოასწორონ მათი დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანი.<sup>7</sup> რეპარაციის პროცესი, შინაარსისა და პროცედურების გათვალისწინებით,

5 TFV, “Statement by Trust Fund for Victims Board of Directors: Under the Rome Statute, Reparative Justice Provides Undeniable Value to Victims”, 14 September 2018, <https://www.icc-cpi.int/Pages/item.aspx?name=180914-stat-tfv> (19.08.2022).

6 *Lubanga*, Corrigendum of Decision on the Prosecutor’s Application for a Warrant of Arrest, Article 58, ICC-01/04-01/06-I-US-Exp-Con, Pre-Trial Chamber I, 10 February 2006, პარაგრაფი 150.

7 *Katanga*, Public redacted Judgment on the appeals against the order of Trial Chamber II of 24 March 2017 entitled “Order for Reparations pursuant to Article 75 of the Statute”, ICC-01/04-01/07-3778-Red, Appeals Chamber, 9 March 2018, para. 184. ამ შეხედულებას ასევე ადასტურებს ის ფაქტი, რომ რომის სტატუტის 75-ე მოცემულია სტატუტის მე-6 ნაწილში (სასამართლო პროცესი) და არა მე-7 ნაწილში (სასჯელები).

არ არის *strictu sensu* სასამართლო პროცესის ნაწილი და რჩება ცალკე მდგომ პროცესად.<sup>8</sup> მიუხედავად იმისა, რომ რომის სტატუტის რეპარაციული განზომილება შთაგონებული იქნა და განვითარდა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის გავლენით, სტატუტმა მნიშვნელოვნად შეავიწროვა რეპარაციის ფარგლები, რაც შეფასებულია „ადამიანის უფლებათა სამართალში განვითარებული რეპარაციის უფლების შერჩევით სესხებად“.<sup>9</sup> რომის სტატუტში რეპარაციის შეზღუდული მოქმედების ფარგლებში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ორმა ძირითადმა ფაქტორმა: სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გამორიცხვამ და რეპარაციის დამოკიდებულებამ პირის საბოლოო მსჯავრდებაზე.

### 1.1. სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გამორიცხვა

სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი იყო ICC-ის რეპარაციის რეჟიმის ყველაზე რთული პუნქტი იყო დელეგაციებისთვის. ICC-ის რეპარაციის მანდატის შესახებ მოლაპარაკებების ისტორია აჩვენებს, რომ სახელმწიფოების დელეგაციებმა მიზანმიმართულად დაადგინეს ის ზუსტი საზღვრები, თუ რამდენად შეიძლება საერთაშორისო სისხლის სამართალსა და ადამიანის უფლებათა სამართალს გადაეფარათ ერთმანეთი, განსაკუთრებით სახელმწიფოს პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით.<sup>10</sup> თავდაპირველად, შიშისა და დაბნეულობის გამო, ზოგადმა წინადადებას კი, რომ სასამართლოს მინიჭებოდა კომპეტენცია რეპარაციის განსაზღვრის თაობაზე, ვერ მოიპოვა სახელმწიფოების ერთიანი მხარდაჭერა რომის კონფერენციაზე. მათი საწინააღმდეგო არგუმენტები იყო მრავალფეროვანი, დაწყებული რეპარაციის დასადგენად სისხლის სამართლის სასამართლოს შესაფერისობის საკითხით, დამთავრებული რისკით, რომ რეპარაციის გადახდა, გარკვეულ მომენტში, გახდებოდა სახელმწიფოების პასუხისმგებლობა.<sup>11</sup> ყველაზე დამაჯერებელი სამართლებრივი არგუმენტი, რომელიც გამორიცხავდა რეპარაციის დაკისრებას უშუალოდ სახელმწიფოებზე, იყო სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შეუთავსებლობა ინდივიდუალურ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობასთან, რისთვისაც იქმნებოდა სასამართლო.<sup>12</sup> მოლაპარაკების მონაწილე სახელმწიფოები მტკიცედ ეწინააღმდეგებოდნენ „სახელმწიფოს სუბსიდიურ პასუხისმგებლობასაც“ კი სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ თავიანთი ოფიციალური უფლებამოსილების ფარგლებში ჩადენილი დანაშაულების შემთხვევაშიც.<sup>13</sup>

8 *Katanga*, Decision on conclusion of term of office of Judges Bruno Cotte and Fatoumata Dembele Diarra, The Presidency, 16 April 2014, ICC-01/04-01/07-3468-AnxI, პარა. 8.

9 Luke Moffett, Clara Sandoval, “Tilting at Windmills: Reparations and the International Criminal Court”, *Leiden Journal of International Law* 34 (2021): 751-752.

10 Christoph Sperfeldt, “Rome’s Legacy: Negotiating the Reparations Mandate of the International Criminal Court”, *International Criminal Law Review* 17 (2016): 351-377.

11 Christopher Muttukumaru. “Reparations to Victims”. In *The International Criminal Court: The Making of the Rome Statute: Issues, Negotiations, Results*, edited by Roy S. Lee, 263-264. The Hague: Kluwer Law International, 1999.

12 იქვე, 268.

13 Donat Cattin, “Article 75”. In *Rome Statute of the International Criminal Court: Article-by-Article Commentary*, edited by Kai Ambos, 2255, n7. 4th ed. München: C.H. Beck / Oxford: Hart / Baden-Baden: Nomos, 2021.

შესაბამისად, სახელმწიფოს პასუხისმგებლობას რულად გამოირიცხას სტატუტის რეპარაციის რეჟიმიდან. საბოლოოდ, სტატუტის *sui generis* რეპარაციის რეჟიმს, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფოს კომპრომისის შედეგია, ენთუზიზმით შეხვდნენ კომენტატორები, რომელთაც დაასკვნეს, რომ „სასამართლოს რეპარაციის რეჟიმის დადებითი ასპექტები, როგორც ეს რომის სტატუტშია მითითებული, ნამდვილად გადაწონის უარყოფით ასპექტებს“<sup>14</sup> თუმცა, აღინიშნა, რომ ICC-ის რეპარაციის რეჟიმი ვერ იქნებოდა ეფექტიანი სისხლის სამართლის პროცესის სტრუქტურული შეზღუდვების გამო, რაც ხელს შეუშლიდა სასამართლოს შესაძლებლობას, ეფექტიანად განეხორციელებინა დაზარალებულზე ორიენტირებული მართლმსაჯულება.<sup>15</sup> ეს დაკვირვება, უმეტესწილად, გამართლდა პრაქტიკაში.

## 1.2. მსჯავრდებაზე დაფუძნებული რეჟიმი

სტატუტის 75-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ICC-მ „შეიძლება გამოიტანოს ბრძანება უშუალოდ მსჯავრდებულის წინააღმდეგ, რომელშიც მითითებული იქნება დაზარალებულთათვის ან მათთან დაკავშირებით შესაბამისი რეპარაცია, მათ შორის რესტიტუცია, კომპენსაცია და რეაბილიტაცია.“ ამ ფორმულირებიდან შეიძლება გაკეთდეს ორი დაკვირვება. უპირველეს ყოვლისა, სასამართლომ შეიძლება გამოიტანოს ბრძანება რეპარაციის შესახებ. ასეთი დისპოზიციური შინაარსი მიუთითებს იმაზე, რომ კონკრეტულ შემთხვევებში, სასამართლომ შეიძლება საერთოდ მიზანშეუწონლად მიიჩნიოს რეპარაციის გაცემა. ამდენად, რეპარაცია არ არის ICC-ის მიერ ყველა დასრულებული მსჯავრდების ავტომატური შედეგი. თუმცა, დღემდე, სასამართლოს პრაქტიკაში არასდროს უთქვამს უარის რეპარაციის განსაზღვრაზე.

მეორე და რაც მთავარია, სტატუტის 75-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ მხოლოდ მსჯავრდებულპირებს შეიძლება დაეკისროთ რეპარაცია. ეს ნიშნავს, რომ დაზარალებულთათვის რეპარაციის მინიჭება პირობითია და დამოუკიდებელია პირის საბოლოო მსჯავრდებაზე – მაშინაც კი, თუ პირი თავდაპირველად მსჯავრდებულია სასამართლო პალატის მიერ, მაგრამ შემდგომში გამართლდა სააპელაციო პალატის მიერ, ICC ვერ შეიძლება რეპარაციის ბრძანების გაცემას, როგორც ეს მოხდა ბემბას საქმეში.<sup>16</sup> გარდა ამისა, მსჯავრდებულის მიმართ უშუალოდ რეპარაციის ბრძანების გამოცემა ქმნის „ასიმეტრიის სირთულეს ცალკეულ მსჯავრდებულსა და ასობით და ათასობით დაზარალებულს შორის, რომლებსაც პოტენციურად რეპარაციის მოთხოვნის უფლება აქვთ“<sup>17</sup> „ასიმეტრიულობის“ ეს გამოწვევა კიდევ უფრო მწვავედება,

14 Fiona McKay. “Are Reparations Appropriately Addressed in the ICC Statute?”. In *International Crimes, Peace, and Human Rights: The Role of the International Criminal Court*, edited by Dinah Shelton, 173. Ardsley, NY: Transnational Publishers, 2000).

15 Luke Moffet, *Justice for Victims before the International Criminal Court* (London and New York: Routledge, 2014), 143. See also Eva Dwertmann, *The Reparation System of the International Criminal Court: Its Implementation, Possibilities and Limitations* (Leiden: Martinus Nijhoff Publishers, 2010), 299-302.

16 *Bemba*, Final Decision on the Reparations Proceedings, ICC-01/05-01/08, Trial Chamber III, 3 August 2018.

17 Moffett, Sandoval (2021), ზედა შენიშვნა 9, 752.

როდესაც მსჯავრდებული ცხადდება გადახდისუუნაროდ, როგორც ეს მოხდა ყველა იმ საქმეში, რომლებმაც რეპარაციის ეტაპს მიაღწიეს.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, სახელმწიფოს პასუხისმგებლობის გამორიცხვა და მსჯავრდებაზე დაფუძნებული რეჟიმი არის ICC-ის რეპარაციის ჩარჩოს ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები, რომლებიც ყოველთვის უნდა იქნას მხედველობაში მიღებული ICC-ის რეპარაციული შესაძლებლობების გამოკვლევისას.

### 1.3. დაზარალებულთა ნდობის ფონდი (TFV)

დაზარალებულთა ნდობის ფონდი (შემდგომში „TFV“ ან „დაზარალებულთა ფონდი“) არის არა-სასამართლო სტრუქტურული ერთეული, რომელიც მოქმედებს სასამართლოს ინსტიტუციურ გარემოში, მაგრამ არ არის სასამართლოს ორგანო, როგორც ასეთი.<sup>18</sup> სტატუტის 79-ე მუხლის თანახმად, ის დაარსდა 2002 წელს წევრ სახელმწიფოთა ასამბლეის მიერ,<sup>19</sup> „სასამართლოს იურისდიქციაში მყოფ დაზარალებულთა და ასეთ დაზარალებულთა ოჯახების სასარგებლოდ.“<sup>20</sup> TFV არის უნიკალური ორგანო საერთაშორისო სისხლის სამართალში, რადგან ის არის „სასამართლო პროცესთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ორგანოს“ მაგალითი, რომელსაც აქვს პოტენციური და სათანადოდ არის შექმნილი იმისათვის, რომ გაუმკლავდეს მსხვერპლთა დიდ რაოდენობას, რომლებიც ითხოვენ რეპარაციას.<sup>21</sup>

სტატუტმა სასამართლოსა და TFV-ს შორის ურთიერთობა ჩამოაყალიბა შემდეგნაირად: „სასამართლოს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება, რომ სასამართლოს ბრძანებით, ჯარიმების ან ჩამორთმევის გზით შეგროვებული თანხა და სხვა ქონება გადაეცეს დაზარალებულთა ფონდს.“<sup>22</sup> შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სტატუტის შემქმნელებისთვის TFV-ის როლი შემოიფარგლებოდა მხოლოდ, როგორც უბრალო „აქტივების დეპოზიტარის და არა როგორც პრაქტიკაში რეპარაციის განმხორციელებელი ორგანოს“ ფუნქციით.<sup>23</sup> თუმცა, რეპარაციის პრაქტიკამ აჩვენა, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში დაზარალებულთა ფონდი ასრულებს რეპარაციის აღსრულების „წამყვანი ორგანოს“ როლს.<sup>24</sup>

18 TFV-ის გარდა, სამდინოს შემადგენლობაში, რომელიც არის სასამართლოს ადმინისტრაციული ნეიტრალური ორგანო, არსებობს რამდენიმე სპეციალური ერთეული, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან რომის სტატუტის მსხვერპლთა რეჟიმის სხვადასხვა ასპექტებზე: მსხვერპლთა მონაწილეობისა და რეპარაციის სექცია (VPRS) პასუხისმგებელია მსხვერპლთა დახმარებაზე, რათა მონაწილეობა მიიღონ პროცესებში და, ბრალდებულის მსჯავრდების შემთხვევაში, შეიტანონ განაცხადები რეპარაციის მოთხოვნით; მსხვერპლთა და მოწმეთა განყოფილება (VWS), რომელსაც აქვს მანდატი, უზრუნველყოს მოწმეთა და დაზარალებულთა მხარდაჭერა, რომლებიც გამოდიან სასამართლოში; და მსხვერპლთა საჯარო დამცველის ოფისი (OPCV), რომელიც ეხმარება მსხვერპლს სასამართლოში სამართლებრივ წარმომადგენლობაში.

19 Resolution ICC-ASP/1/Res.6. Establishment of a fund for the benefit of victims of crimes within the jurisdiction of the Court, and of the families of such victims, 9 September 2002.

20 რომის სტატუტი, მუხლი 79(1).

21 დეტალური ანალიზისთვის, იხ.: Miriam Cohen, *Realizing Reparative Justice for International Crimes: From Theory to Practice* (New York: Cambridge University Press, 2020), 126-149.

22 რომის სტატუტი, მუხლი 79(2).

23 Moffett, Sandoval (2021), ზედა შენიშვნა 9, 14.

24 Independent Expert Review of the International Criminal Court and the Rome Statute System, Final Report, 30 September 2020, პარა. 924.

TFV-ს მინიჭებული აქვს ორმაგი მანდატი: (1) აღასრულოს რეპარაცია, რომელიც სასამართლომ დაადგინა უშუალოდ მსჯავრდებულის წინააღმდეგ (რეპარაციის მანდატი)<sup>25</sup> და (2) უზრუნველყოს ფიზიკური, ფსიქოლოგიური და მატერიალური დახმარება მსხვერპლთათვის და მათი ოჯახებისთვის „სხვა საშუალებებით“ (დახმარების მანდატი).<sup>26</sup> ამ მანდატებს შორის მთავარი განსხვავება ისაა, რომ პირველი დამოკიდებულია სასამართლოს მიერ საბოლოო განაჩენზე, ექვემდებარება სასამართლოს ზედამხედველობას და რეპარაციის ბრძანების პარამეტრებს. მეორე მხრივ, დახმარების მანდატი უკავშირდება სასამართლოს წინაშე არსებულ „სიტუაციას“ და არა „საქმეს“. კონკრეტული ბრალდებების ან საბოლოო მსჯავრდების არსებობა არ არის TFV-ის დახმარების პროგრამების ინიცირების წინაპირობა. დახმარების მანდატი შეიძლება გააქტიურდეს ბრალდებულის გამართლების შემთხვევაშიც. მას შემდეგ, რაც სააპელაციო პალატამ გაამართლა ჟან-პიერ ბემბა, ყოფილი პრეზიდენტი და კონგოს გამათავისუფლებელი მოძრაობის (*Mouvement de Libération du Congo*) მთავარსარდალი, TFV-მ განაცხადა, რომ დახმარების მანდატის ფარგლებში დაჩქარდებოდა პროგრამის დაწყება ბემბას საქმეში დაზარალებულთა სასარგებლოდ.<sup>27</sup> სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დახმარების მანდატი არის „სიტუაციის დონის“ საკომპენსაციო აქტივობები, ხოლო რეპარაციის მანდატი მოქმედებს „საქმის დონეზე“.

TFV-ის დახმარების მანდატის სიტუაციური ხასიათის შემდგომი ილუსტრაციისთვის, კარგი მაგალითია საქართველოს სიტუაცია. 2020 წლის 1 დეკემბერს, TFV-მ განაცხადა საქართველოში დახმარების პროგრამის დაწყების შესახებ, რომელიც მოიცავს „სამედიცინო მკურნალობას, ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას, როგორცაა ტრავმასთან დაკავშირებული კონსულტაცია, ასევე მატერიალურ მხარდაჭერას საარსებო დახმარების ჩათვლით“.<sup>28</sup> იმ დროისთვის, ICC-ის პროკურატურის ოფისის საქართველოს სიტუაციის გამოძიებაში გამოვლენილი არ ჰყავდა კონკრეტული პირები, რაც იმას ნიშნავს, რომ არ არსებობდა „საქმე“. ამრიგად, TFV-ის დახმარების მანდატი გააქტიურდა, როდესაც გამოძიება მხოლოდ სიტუაციის დონეზე იყო. მიუხედავად იმისა, რომ 2022 წელს საქართველოს სიტუაციის კონტექსტში სასამართლომ გასცხა სამი პირის დაკავების ბრძანება,<sup>29</sup> სავარაუდოდ, მრავალი წელი დასჭირდება ამ საქმეების რეპარაციის ეტაპამდე მისვლას. „მრავალი წელი“ არის ყველაზე ოპტიმისტური სცენარი: ჯერ ბრალდებულები უნდა გადაეცეს სასამართლოს; შემდეგ, მათი მსჯავრდება უნდა დაადასტუროს სააპელაციო პალატამ; და ბოლოს, რეპარაციის ბრძანების აღსრულებას დაჭირდება გარკვეული დრო.

25 ICC Rules of Procedure and Evidence, Rule 98(1)–(4).

26 იქვე, წესი 98(5).

27 TFV, Communication from the Chair of the Board of Directors of the Trust Fund for Victims to the President of the Assembly of States Parties, 13 June 2018, <https://www.trustfundforvictims.org/en/news/press-release-following-mr-bemba%E2%80%99s-acquittal-trust-fund-victims-icc-decides-accelerate-launch> (19.08.2022)..

28 TFV, “Trust Fund for Victims to Open Assistance Programme in Georgia, Press Release”, 1 December 2020, <https://www.trustfundforvictims.org/en/news/trust-fund-victims-open-assistance-programme-georgia> (19.08.2022).

29 TFV, “Situation in Georgia: ICC Pre-Trial Chamber delivers three arrest warrants”, 30 June 2022, <https://www.icc-cpi.int/news/situation-georgia-icc-pre-trial-chamber-delivers-three-arrest-warrants> (19.08.2022).

## 2. ICC-ის რეპარაციის სისტემის ძირითადი ცნებები

### 2.1. მსხვერპლი

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს სამართლებრივი ჩარჩოს შემქმნელებმა თავი აარიდეს რეპარაციის პრინციპების შემუშავებას,<sup>30</sup> მათ მაინც განსაზღვრეს „დაზარალებულის“ ცნება. ICC-ის „პროცედურისა და მტკიცებულების წესების“ (შემდგომში „ICC-ის წესები“) თანახმად, დაზარალებულის პირველადი ცნება მოიცავს ინდივიდებს, რომლებმაც „განიცადეს ზიანი სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი რომელიმე დანაშაულის ჩადენის შედეგად“<sup>31</sup> დაზარალებულთა შორის შეიძლება იყვნენ იურიდიული პირებიც (ორგანიზაციები ან დაწესებულებები).<sup>32</sup> „დაზარალებულთა“ ეს განმარტება საკმარისად ფართოა იმისათვის, რომ ეფექტურად მიესადაგოს მასობრივი ვიქტიმიზაციის სხვადასხვა გამოვლინებებს.<sup>33</sup> რომის სტატუტის სისტემაში დაზარალებულის კვალიფიკაციის მთავარი წინაპირობაა პერსონალური ზიანის არსებობა, იქნება ეს პირდაპირი თუ ირიბი ხასიათის. თუ ინდივიდუალური დაზარალებულის მიმართ ზიანი შეიძლება იყოს როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი (თუმცა ეს უნდა იყოს პერსონალური ხასიათის), ორგანიზაციებს მოეთხოვებათ, რომ დაამტკიცონ მხოლოდ პირდაპირი ზიანის არსებობა მათ საკუთრებაზე.<sup>34</sup> არაპირდაპირ დაზარალებულად კვალიფიკაციისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ პირდაპირი მსხვერპლის ოჯახის წევრობა ან ახლო ნათესაობა, კვლავ საჭიროა ზიანის არსებობა.<sup>35</sup> ამრიგად, პირდაპირი მსხვერპლი არის ის, ვისაც ზიანი მიაღდა იმ დანაშაულთა უშუალოდ შედეგით, რისთვისაც მსჯავრდებულია პირი. ამის საპირისპიროდ, არაპირდაპირ მსხვერპლს ზიანი ადგება პირდაპირი მსხვერპლისთვის მიყენებული ზიანით.

„მსხვერპლის“ განმარტებისგან განსხვავებით, ICC-ის სამართლებრივი ჩარჩო არ შეიცავს „ზიანის“ განმარტებას, რომელიც არის *condicio sine qua non* დაზარალებულის სტატუსის მინიჭებისთვის. თუმცა, სასამართლომ თავის პრაქტიკაში განმარტა, რომ ცნება „ზიანი“ მისი ჩვეულებრივი მნიშვნელობით „ნიშნავს დაზიანებას, დაშავებას ან ზარალს“<sup>36</sup> ეს შეიძლება

30 იხ. ქვემოთ, ქვეთავი 3.

31 ICC Rules of Procedure and Evidence, Rule 85(a).

32 იქვე, წესი 85(ბ). მათ შორისაა ის იურიდიული პირები, რომლებმაც განიცადეს პირდაპირი ზიანი იმ ქონებაზე, რომელიც ეძღვნება რელიგიას, განათლებას, ხელოვნებას ან მეცნიერებას ან საქველმოქმედო მიზნებს, და მათ ისტორიულ ძეგლებს, საავადმყოფოებს, სხვა ადგილებსა და ობიექტებს ჰუმანიტარული მიზნებისთვის.

33 Moffett (2014), ზედა შენიშვნა 15, 94 (ავტორი შენიშნავს, რომ „სასამართლოს დაზარალებულთა ცნება გაცილებით უფრო მრავლისმომცველია, ვიდრე *ad hoc* ტრიბუნალების, რადგან მოიცავს პირდაპირ და არაპირდაპირ მსხვერპლებს, გარკვეულ იურიდიულ პირებს და უფრო ფართო სპექტრის დანაშაულებს“).

34 *Al Mahdi*, Reparations Order, ICC-01/12-01/15-236, Trial Chamber VIII, 17 August 2017, პარა. 43.

35 *Katanga Judgment* 2018, ზედა შენიშვნა 7, პარა. 115. იხ. აგრეთვე *Ntaganda*, Reparations Order, ICC-01/04-02/06-2659, Trial Chamber VI, 8 March 2021 პუნქტი 36, რომელიც განასხვავებს ირიბი მსხვერპლის ოთხ კატეგორიას: 1) პირდაპირი მსხვერპლის ოჯახის წევრი; 2) პირები, რომლებიც ცდილობდნენ დანაშაულის აღკვეთას; 3) პირები, რომელთაც ზიანი მიაღდათ პირდაპირი მსხვერპლის დახმარებისას; 4) ნებისმიერ პირი, რომელსაც პერსონალური ზიანი მიაღდა ჩადენილი დანაშაულის შედეგად.

36 *Lubanga*, Judgment on the appeals of The Prosecutor and The Defence against Trial Chamber I's Decision on Victims' Participation of 18 January 2008, ICC-01/04-01/06-1432, 11 July 2008, პარა. 33.

იყოს მატერიალური, ფიზიკური, ფსიქოლოგიური<sup>37</sup> ან/და მორალური.<sup>38</sup> ზიანი შეიძლება ასევე იყოს თაობათაშორისი ხასიათის, რაც იმას ნიშნავს, რომ „სოციალური ძალადობა ერთი თაობიდან გადაეცემა მეორე თაობას, ამ უკანასკნელთათვის ტრავმული შედეგებით“<sup>39</sup> და ბოლოს, მსხვერპლად კვალიფიკაციის მნიშვნელოვანი ელემენტია ზიანისა და დანაშაულის მიზეზობრივი კავშირი. როგორც ლუბანგას საქმეში დადგინდა, დანაშაულები უნდა იყოს ზიანის „უშუალო მიზეზი“<sup>40</sup>

## 2.2. რეპარაციის მოდალობები

ზოგად საერთაშორისო სამართალში რეპარაცია არის ღონისძიება, რომელიც გამიზნულია დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად.<sup>41</sup> საერთაშორისო სისხლის სამართალში, ეს ცნება მოიცავს იმ საშუალებებს, რომელიც ხელს უწყობს ცალკეულ დაზარალებულთა მიმართ სამართლიანობის აღდგენას.<sup>42</sup> რომის სტატუტის მიხედვით, რეპარაცია უზრუნველყოფს მსჯავრდებულთა პასუხისმგებლობას მსხვერპლთათვის მიყენებული ზიანისთვის და იმას, რომ მსჯავრდებულები პასუხს აგებენ თავიანთ ქმედებებზე.<sup>43</sup> რომის სტატუტში, რეპარაციის „მოდალობები“ არის „სპეციფიკური მეთოდები, რომლებიც იდენტიფიცირებულია იმ სახის ზიანზე რეაგირებისთვის, რომელიც მოითხოვს რეპარაციას“<sup>44</sup> სტატუტის 75-ე მუხლის მე-2 პუნქტი იძლევა მოდალობების არასრულ ჩამონათვალს, მათ შორის რესტიტუციას, კომპენსაციას და რეაბილიტაციას. თუმცა, ეს სია არ არის ამომწურავი და პრაქტიკაში სასამართლომ შეიძლება მიზანშეწონილად მიიჩნიოს რეპარაციის სხვადასხვა ფორმების გამოყენება „სიმბოლური, პრევენციული ან ტრანსფორმაციული ღირებულებით“<sup>45</sup> სიმბოლური რეპარაცია (მაგ. დაკმაყოფილება ან არგანმეორება) პირდაპირ არ არის მოცემული

37 *Lubanga*, Order for Reparations (amended), ICC-01/04-01/06-3129-AnxA, Appeals Chamber, 3 March 2015, პარა. 10.

38 იხ. ზედა შენიშვნა 34.

39 *Ntaganda* Order 2021, ზედა შენიშვნა 35, პარა. 73. იხ. ასევე *Katanga*, Order for Reparations pursuant to Article 75 of the Statute, with one public annex (Annex I) and one confidential annex *ex parte*, Common Legal Representative of the Victims, Office of Public Counsel for Victims and Defence team for Germain Katanga (Annex II), ICC-01/04-01/07-3728-tENG, Trial Chamber II, 24 March 2017, პარა. 274-275.

40 *Lubanga* Amended Order (2015), ზედა შენიშვნა 37, პარა. 59.

41 *Factory at Chorzow (Germany v. Poland)*, PCIJ, Series A, No. 17, 13 September 1928, პარა. 125. PCIJ-ის თანახმად, რეპარაციის მიზანია, „შეძლებისდაგვარად აღმოფხვრას უკანონო ქმედების ყველა შედეგი და აღადგინოს სიტუაცია, რომელიც, დიდი ალბათობით, იარსებებდა, რომ არ ყოფილიყო ჩადენილი მოცემული ქმედება“.

42 Basic Principles and Guidelines on the Right to a Remedy and Reparation for Victims of Gross Violations of International Human Rights Law and Serious Violations of International Humanitarian Law, UNGA, A/RES/60/147, 21 March 2006, Principle 15.

43 *Lubanga*, Decision establishing the principles and procedures to be applied to reparations, ICC-01/04-01/06-2904, Trial Chamber I, 7 August 2012, პარა. 179.

44 *Al Mahdi* Order 2017, ზედა შენიშვნა 34, პარა. 46.

45 *Lubanga* Decision 2012, ზედა შენიშვნა 43, პარა. 222.

რომის სტატუტში.<sup>46</sup> თუმცა, სასამართლომ დაადგინა, რომ სიმბოლური რეპარაცია შეიძლება იყოს განსაკუთრებით მიზანშეწონილი საზოგადოებისთვის მიყენებული ზიანის აღსადგენად.<sup>47</sup>

რესტიტუცია არის საშუალება, რომელსაც სასამართლო ადგენს დაზარალებულთა მდგომარეობის შეძლებისდაგვარად აღდგენის მიზნით, როგორც ეს არსებობდა დანაშაულის ჩადენამდე.<sup>48</sup> კომპენსაცია, პრინციპის დონეზე, არის ფინანსური ანაზღაურება და ის უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მოთხოვნებს, რომ ჩაითვალოს შესაბამის დაზარალებად.<sup>49</sup> რეაბილიტაცია მიზნად ისახავს დაზარალებულთა მხარდაჭერას დანაშაულის შედეგად გამოწვეულ ტანჯვასთან გამკლავებაში და შეიძლება მოიცავდეს ფსიქოლოგიური, ფსიქიატრიული, ეკონომიკური, სოციალური, სამედიცინო ან იურიდიული მომსახურების მიწოდებას.<sup>50</sup> სხვა სახის „მოდალობები“ შეიძლება მოიცავდეს სასამართლოს მსჯავრდებას და სასჯელს, ან მათ ფართო გამოქვეყნებას, მსხვერპლთა ზიანის აღიარებას სერტიფიკატებით, ცნობიერების ამალღების პროგრამებს ადგილობრივ თემებში, მსხვერპლთა ინფორმირებას სისხლის სამართლის პროცესის შედეგების შესახებ, მსჯავრდებულის მიერ ნებაყოფლობით ბოდიშის მოხდას დაზარალებულებისთვის და ა. შ.<sup>51</sup>

### 2.3. რეპარაციის სახეები

სასამართლოს შეუძლია განსაზღვროს როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური რეპარაცია.<sup>52</sup> ვინაიდან რეპარაციის ეს ორი სახე ავსებენ ერთმანეთს, მათი განსაზღვრა შესაძლებელია დამოუკიდებლად ან ერთდროულად. ინდივიდუალური რეპარაცია უზრუნველყოფს, რომ ინდივიდს მიეწოდება უშუალოდ ის სარგებელი, რომელზეც პირს აქვს ექსკლუზიური უფლება, მაგალითად, პირის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხული ფინანსური კომპენსაცია.<sup>53</sup> მეორე მხრივ, კოლექტიური რეპარაცია გაიცემა მთლიანი საზოგადოების საკეთილდღეოდ, მაგრამ ის შეიძლება მიემართოს როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიური საფუძველზე განცდილ ზიანს.<sup>54</sup>

46 იხ. Frédéric Mégrét, “The International Criminal Court and the Failure to Mention Symbolic Reparations”, *International Review of Victimology* 16(2), (2009): 127-147 (ავტორი ამტკიცებს, რომ „სიმბოლური რეპარაციის“ გამოტოვებას თავისი ფესვები აქვს სახელმწიფოს პასუხისმგებლობისთვის შემუშავებული რეპარაციის რეჟიმის საერთაშორისო დანაშაულის ჩამდენი პირების კონტექსტზე ადაპტირების სირთულეში“).

47 Al Mahdi Order 2017, ზედა შენიშვნა 34, პარა. 47-49.

48 Lubanga Decision 2012, ზედა შენიშვნა 43, პარა. 223-225.

49 იქვე. პარა 226: „კომპენსაცია უნდა განიხილებოდეს, როდესაც 1) ეკონომიკური ზიანი რაოდენობრივად შეფასებადია; 2) ამ სახის ღონისძიება იქნება შესაბამისი და პროპორციული (დანაშაულის სიმძიმისა და საქმის გარემოებების გათვალისწინებით); და 3) ხელმისაწვდომი რესურსის გათვალისწინებით, შედეგის მიღწევა შესაძლებელია.“

50 იქვე, პარა 223. Al Mahdi Order 2017, ზედა შენიშვნა 34, პარა. 48.

51 Lubanga Decision 2012, ზედა შენიშვნა 43, პარა. 237-241.

52 ICC Rules of Procedure and Evidence, Rule 97(1).

53 Katanga Order 2017, ზედა შენიშვნა 39, პარა. 271.

54 Lubanga, Judgment on the appeals against the “Decision establishing the principles and procedures to be applied to reparations” of 7 August 2012 with AMENDED order for reparations (Annex A) and public annexes 1 and 2, ICC-01/04-01/06-3129, Appeals Chamber, 3 March 2015, პარა. 33

აქედან გამომდინარე, შეიძლება განვასხვავოთ კოლექტიური რეპარაციის ორი ტიპი: პირველი, რომელიც განისაზღვრება მთლიანი საზოგადოების სასარგებლოდ (არაპერსონალიზებული კოლექტიური რეპარაცია) და მეორე, ინდივიდუალური კოლექტიური რეპარაცია, რომელიც გარკვეულწილად ორიენტირებულია საზოგადოების ინდივიდუალურ წევრებზე, მაგრამ მთლიანი საზოგადოების საკეთილდღეოდ (პერსონალიზებული კოლექტიური რეპარაცია).<sup>55</sup>

განსხვავება ინდივიდუალურ რეპარაციასა და პერსონალიზებულ კოლექტიურ რეპარაციას შორის პრაქტიკაში შეიძლება არ იყოს მკაფიო. თუმცა, სამართლებრივი თვალსაზრისით, მათ შორის მთავარი განსხვავება არის „ექსკლუზიურობის“ ელემენტი.<sup>56</sup> სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ ინდივიდუალურ მსხვერპლს ექაქვს მხოლოდ რეპარაციის გარკვეული მოდალობის უფლება, ეს არის ინდივიდუალური რეპარაცია. პირიქით, როდესაც ცალკეული დაზარალებული სარგებლობს კომპენსაციით, როგორც ჯგუფის წევრი, ეს იწვევს დასკვნას, რომ დაზარალებულს ეძლევა კოლექტიური კომპენსაცია, მაგრამ პირადი საფუძველზე.

### 3. ICC-ის სასამართლო პრაქტიკა რეპარაციის დაკავშირებით

ICC-ის სასამართლო პრაქტიკა რეპარაციის შესახებ ჯერ კიდევ ყალიბდება და აზუსტებს სხვადასხვა საკითხებს თითოეულ საქმესთან მიმართებით. ამავდროულად, სასამართლო ცდილობს, შეიმუშაოს რეპარაციის სამართალწარმოების თანმიმდევრული მიდგომები და მეთოდები. სტატუტის 75(1) მუხლის მიხედვით, სასამართლომ „უნდა დაადგინოს პრინციპები, რომლებიც ეხება მსხვერპლებს ან მათ მიმართ რეპარაციას, მათ შორის რესტიტუციას, კომპენსაციას და რეაბილიტაციას“. ფორმულირება „უნდა დაადგინოს“ ნიშნავდა, რომ სტატუტის შემქმნელებმა თავი შეიკავეს ამგვარი პრინციპების *in abstracto* წინასწარ ჩამოთვლისგან. პირიქით, ეს ამოცანა სასამართლოს დაეკისრა კონკრეტული საქმეების კონტექსტში სამომავლო განხილვისთვის. სასამართლომ რეპარაციის პრინციპები პირველად შეიმუშავა 2012 წელს, ფუნქციონირების დაწყებიდან 10 წლის შემდეგ.

---

55 Katanga Order 2017, ზედა შენიშვნა 39, პარა 278. იხ. ასევე Ntaganda Order 2021, ზედა შენიშვნა 35, პარა. 81.

56 Katanga Order 2017, ზედა შენიშვნა 39, პარა. 277-279.

### 3.1. ლუბანგა: საფუძვლის ჩაყრა ICC-ის რეპარაციის სისტემისთვის და კოლექტიური რეპარაცია

ლუბანგას საქმე, რომელიც იყო ICC-ის პირველი მსჯავრდება, ასევე იყო პირველი შემთხვევა, როდესაც სასამართლოს მიეცა შესაძლებლობა, შეესრულებინა სტატუტის 75-ე მუხლის პირველი პუნქტით დაკისრებული ვალდებულება და შეემუშავებინა რეპარაციის პრინციპები. ბ-ნი ლუბანგა, მემბრების ყოფილი ლიდერი კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, იყო პირველი ბრალდებული, ვინც გასამართლდა და მსჯავრი დაედო ICC-ის მიერ. 2012 წელს, პირველმა სასამართლო პალატამ ის დამნაშავედ ცნო 2002 წლის 1 სექტემბრიდან 2003 წლის 13 აგვისტომდე, აღმოსავლეთ იტურის რეგიონში მიმდინარე არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტში ჩადენილი ომის დანაშაულებისთვის, კერძოდ, 15 წლამდე ასაკის ბავშვების შეიარაღებულ ჯგუფში გაწევვაში, ჩარიცხვაში და აქტიურ სამარ მოქმედებებში ჩართვისთვის. მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 14 წლით (როგორც მსჯავრდება, ასევე სასჯელი 2014 წელს დაადასტურა სააპელაციო პალატამ). 2020 წლის 15 მარტს, ის გათავისუფლდა 14-წლიანი პატიმრობის შემდეგ.

ბ-ნი ლუბანგას მსჯავრდების შემდეგ, 2012 წლის 7 აგვისტოს, პირველმა სასამართლო პალატამ მიიღო ICC-ის ისტორიაში პირველი გადაწყვეტილება რეპარაციის შესახებ.<sup>57</sup> მას მოჰყვა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება 2015 წელს, რომელმაც შეცვალა 2012 წლის გადაწყვეტილება და განავითარა რეპარაციის პრინციპები. თუმცა, დამატებითი სასამართლო პროცესების გამო, რეპარაციის საკითხი არ გადაწყდა 2019 წლამდე. გარდა იმისა, რომ ლუბანგას საქმე პრეცედენტული მნიშვნელობისაა რეპარაციის კუთხით, ის რჩება ICC-ის ყველაზე კომპლექსურ რეპარაციის საქმედ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობის თვალსაზრისით.

2012 წელს, დაეყრდნო რა დანაშაულისა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების გაეროს ძირითად პრინციპებს<sup>58</sup> და მსხვერპლთა რეპარაციის შესახებ გაეროს ძირითად პრინციპებს,<sup>59</sup> პირველმა სასამართლო პალატამ რეპარაციის შესახებ ჩამოაყალიბა შემდეგი პრინციპები: ა) გამოსაყენებელი სამართალი; ბ) ღირსება, არადისკრიმინაცია და არასტიგმატიზაცია; გ) რეპარაციის ბენეფიციარები (პირდაპირი და ირიბი მსხვერპლის ჩათვლით); დ) ხელმისაწვდომობა და კონსულტაცია მსხვერპლებთან (გენდერულად მგრძობიარე მიდგომის ჩათვლით); ე) სქესობრივი ძალადობის მსხვერპლთა და ბავშვ მსხვერპლებთან დაკავშირებული პრინციპები; ვ) რეპარაციის ფარგლები და შესაბამისი მოდალობები (ინდივიდუალური და კოლექტიური რეპარაციის ჩათვლით); ზ) პროპორციული და ადეკვატური რეპარაციის პრინციპი; თ) მიზეზობრივი კავშირი; ი) მტკიცების სტანდარტი და ტვირთი; კ) დაცვის მხარის უფლებებთან დაკავშირებული პრინციპები; ლ) სახელმწიფოებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან დაკავშირებული საკითხები; მ)

57 Lubanga Decision 2012, ზედა შენიშვნა 43.

58 Declaration of Basic Principles of Justice for Victims of Crime and Abuse of Power, UNGA Res. 40/34, UN Doc. A/RES/40/34, 29 November 1985.

59 Basic Principles and Guidelines on the Right to a Remedy and Reparation for Victims of Gross Violations of International Human Rights Law and Serious Violations of International Humanitarian Law, UNGA Res. 60/147, UN Doc. A/RES/60/147, 21 March 2006.

მოცემულ გადაწყვეტილებაში დადგენილი პრინციპების საჯაროობა.<sup>60</sup> სააპელაციო პალატამ მოგვიანებით განაცხადა, რომ ეს პრინციპები შეიძლება სამომავლოდ გამოყენებულ იქნას, შეიცვალოს ან გაფართოვდეს სხვა სასამართლო პალატების მიერ.<sup>61</sup> ამ შესაძლებლობით ისარგებლა სასამართლო პალატამ ნტაგანდას საქმეში და დაამატა ექვსი ახალი პრინციპი.<sup>62</sup>

პირველმა სასამართლო პალატამ ბ-ნი ლუბანგა ცნო გადახდისუუნაროდ, რადგან ვერ იქნა მოძიებული მისი საკუთარი აქტივები ან ქონება რეპარაციის მიზნებისთვის. ამრიგად, პირველმა სასამართლო პალატამ გადაწყვიტა, რომ ბ-ნი ლუბანგასთვის რეპარაციის დაკისრება არ შეიძლებოდა და რეალური იყო მხოლოდ არაფულადი, სიმბოლური რეპარაცია (მაგ. საჯარო ან კერძო ბოდიშის მოხდა მსხვერპლთათვის), მაგრამ მხოლოდ ბ-ნი ლუბანგას თანხმობით. საბოლოოდ, პირველმა სასამართლო პალატამ უარი თქვა რეპარაციის მოთხოვნის შესახებ ინდივიდუალური განცხადებების განხილვაზე.<sup>63</sup> ბ-ნი ლუბანგას მდგომარეობიდან გამომდინარე, პირველმა სასამართლო პალატამ გადაწყვიტა, რომ რეპარაციის საკითხი გადაეცა TFV-თვის და დაადგინა, რომ რეპარაცია უნდა განხორციელებულიყო ICC-ის დაზარალებულთა ფონდის მეშვეობით, მისი რესურსების ფარგლებში.

ამ გადაწყვეტილებით, ისტორიაში პირველად ამოქმედდა ICC-ის დაზარალებულთა ფონდის რეპარაციის მანდატი. პირველმა სასამართლო პალატამ დაადგინა, რომ როდესაც მსჯავრდებული გამოცხადდებოდა გადახდისუუნაროდ, და თუ რეპარაციის აღსრულებოდა დაზარალებულთა ფონდის მეშვეობით, ეს ნიშნავდა, რომ აღსრულების მიზნებისთვის შეიძლება გამოყენებულ ყოფილიყო არა მხოლოდ მსჯავრდებულისთვის ჩამორთმეული აქტივები, არამედ თავად დაზარალებულთა ფონდის საკუთარი რესურსები.<sup>64</sup> უფრო მეტიც, პირველმა სასამართლო პალატამ დაადგინა, რომ ფონდი ვალდებული იყო, თავისი წვლილი შეეტანა რეპარაციის დაფინანსებაში მის ხელთ არსებული სახსრების ფარგლებში.<sup>65</sup> სასამართლომ ასევე დაავალა TFV-ს, რომ შეეფასებინა ზიანი და გამოეცვლინა პოტენციური მსხვერპლები რეპარაციის პროგრამაში ჩართვისთვის.<sup>66</sup> მიუხედავად იმისა, რომ პირველმა სასამართლო პალატამ რეპარაციის განხორციელების პროცესზე პასუხისმგებლად უპირველესად ცნო TFV, მან დაადგინა, რომ რეპარაციის ზედამხედველობა, ისევე როგორც TFV-ის გასაჩივრებული გადაწყვეტილებების განხილვა, იყო სასამართლოს კომპეტენცია.<sup>67</sup> TFV-ის მთავარი ფუნქცია გულისხმობდა, რომ რეპარაციის დაფინანსების მიზნით სასამართლო გამოიყენებდა TFV-ს ლოგისტიკურ და ფინანსურ რესურსებს, რაც მოიცავს არა მხოლოდ ჩამორთმეულ და TFV-ში დეპონირებულ თანხებსა და აქტივებს, არამედ TFV-ის საკუთარ რესურსებსაც.<sup>68</sup> სხვაგვარად რომ ვთქვათ, პირველმა სასამართლო პალატამ გადახდისუუნარო მსჯავრდებულის

60 იქვე, 64-85.

61 Lubanga Judgment 2015, ზედა შენიშვნა 54, პარა. 55.

62 იხ. ქვემოთ, ქვეთავი 3.4.

63 Lubanga Decision 2012, ზედა შენიშვნა 43, პარა. 269, 289(ბ).

64 იქვე, პარა. 271-272.

65 იქვე, პარა. 271-273.

66 იქვე, პარა. 283-284.

67 იქვე, პარა. 260-262, 287.

68 იქვე, პარა. 270-273.

პასუხისმგებლობა ჩაანაცვლა TFV-ის ფინანსური რესურსებით, მათ შორის „სხვა რესურსებით“ ანუ TFV-ში განხორციელებული ნებაყოფლობითი შენატანებით.

პირველმა სასამართლო პალატის მიგნებები შეცვალა, განმარტა და განავითარა სააპელაციო პალატამ 2015 წლის 3 მარტის გადაწყვეტილებაში, რომელიც განიხილება გარდამტეხი მნიშვნელობის გადაწყვეტილებად. სააპელაციო პალატამ დაადგინა ICC-ს რეპარაციის სისტემის დეტალური ჩარჩო სხვა საქმეებში მისი შემდგომი გამოყენებისთვის. სააპელაციო პალატის აზრით, რეპარაციის პრინციპები „უნდა იყოს ზოგადი ცნებები, რომლებიც ფორმულირებულია კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მაგრამ მაინც შეიძლება გამოყენებულ იქნას, ადაპტირდეს, გაფართოვდეს ან განივრცოს სხვა სასამართლო პალატების მიერ.“<sup>69</sup> სააპელაციო პალატამ განიხილა, იყო თუ არა პირველმა სასამართლო პალატის 2012 წლის გადაწყვეტილება რეპარაციის შესახებ რეპარაციის ბრძანება სტატუტის 75-ე მუხლის მიხედვით. რომის სტატუტში მითითებების არარსებობის გათვალისწინებით, თუ რომელი გადაწყვეტილება შეიძლება იყოს კვალიფიცირებული რეპარაციის ბრძანებად, სააპელაციო პალატამ დაადგინა რეპარაციის ბრძანების მინიმუმ ხუთი არსებითი ელემენტი:

„1) იგი [რეპარაციის ბრძანება] მიმართული უნდა იყოს მსჯავრდებულის წინააღმდეგ; 2) მან უნდა დაადგინოს და მსჯავრდებულს მიაწოდოს ინფორმაცია მისი პასუხისმგებლობის შესახებ ბრძანებით დაკისრებულ რეპარაციასთან დაკავშირებით; 3) მან უნდა დააკონკრეტოს და წარმოადგინოს მიზეზები, თუ რა სახის რეპარაციაა გაცემული – კოლექტიური, ინდივიდუალური თუ ორივე ერთად, ICC-ის წესების 97(1) და 98 წესების შესაბამისად; 4) უნდა განისაზღვროს პირდაპირი და არაპირდაპირი მსხვერპლებისთვის მიყენებული ზიანი იმ დანაშაულების შედეგად, რომელთა გამო პირი იქნა მსჯავრდებული, ასევე უნდა განისაზღვროს რეპარაციის ის მეთოდები, რომლებსაც სასამართლო პალატა მიიჩნევს მიზანშეწონილად მის წინაშე არსებული კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე; და 5) მან უნდა გამოავლინოს მსხვერპლები, რომლებსაც უფლება აქვთ, ისარგებლონ გაცემული რეპარაციით, ან დაადგინონ ასეთი უფლებით სარგებლობის კრიტერიუმები, რომლებიც ეფუძნება კავშირს მსხვერპლებისთვის მიყენებულ ზიანსა და იმ დანაშაულებს შორის, რისთვისაც პირი იქნა მსჯავრდებული.“<sup>70</sup>

პირველი სასამართლო პალატის 2012 წლის გადაწყვეტილების ამ ელემენტების კონტექსტში შეფასების შედეგად, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ ეს გადაწყვეტილება არ შეიძლება მიჩნეული ყოფილიყო რეპარაციის ბრძანებად. აქედან გამომდინარე, მან გამოიყენა შესწორების უფლებამოსილება, რათა პირველი სასამართლო პალატის გადაწყვეტილება გარდაექმნა რეპარაციის ბრძანებად სტატუტის 75-ე მუხლის მიზნებისათვის.<sup>71</sup> შესაბამისად, სააპელაციო პალატამ გამოსცა შესწორებული რეპარაციის ბრძანება.<sup>72</sup>

69 Lubanga გადაწყვეტილება 2015, ზედა შენიშვნა 54, პარა. 3, 53.

70 იქვე, პარა. 32.

71 იქვე, პარა. 35-37.

72 Lubanga Amended Order 2015, ზედა შენიშვნა 37.

სხვა განმარტებებთან ერთად, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ პირველი სასამართლო პალატა შეცდა, როდესაც ბ-ნ ლუბანგას არ დააკისრა პასუხისმგებლობა რეპარაციისთვის და განმარტა, რომ პირის გადახდისუუნარობა ვერ იქნებოდა ხელშემშლელი გარემოება რეპარაციისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის.<sup>73</sup> ეს განპირობებულია იმით, რომ პირი, რომელსაც დანაშაულისთვის ეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, ნებისმიერ შემთხვევაში პასუხისმგებელია რეპარაციაზეც. გარდა ამისა, სააპელაციო პალატამ ჩამოაყალიბა ახალი პრინციპი რეპარაციის მიმართ მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის ფარგლების შესახებ, რომელიც არ დაადგინა პირველმა სასამართლო პალატამ. ამ პრინციპის თანახმად, „მსჯავრდებულის პასუხისმგებლობა რეპარაციისთვის უნდა იყოს მიყენებული ზიანის პროპორციული და, *inter alia*, მისი მონაწილეობის იმ დანაშაულთა ჩადენაში, რომლებშიც იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი, კონკრეტული საქმის გარემოებების გათვალისწინებით.“<sup>74</sup> აქედან გამომდინარეობს, რომ რეპარაციის პასუხისმგებლობა განისაზღვრება თითოეული პირის მსჯავრდების კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. მაგალითად, რეპარაციის პასუხისმგებლობა შეიძლება არ იყოს იდენტური, ერთი მხრივ, მთავარი ამსრულებლის და მეორე მხრივ, დამხმარის შემთხვევაში.

მსხვერპლთა რაოდენობის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატა დაეთანხმა პირველ სასამართლო პალატას, რომ რეპარაცია გაცემული უნდა ყოფილიყო მხოლოდ კოლექტიურ საფუძველზე და არ უნდა დაედგინა ინდივიდუალური რეპარაცია.<sup>75</sup> გარდა ამისა, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ პირველი სასამართლო პალატა შეცდა, როდესაც არ შეაფასა მსხვერპლთა მიმართ მიყენებული ზიანი და ამ ამოცანის შესრულება დაავალა ფონდს,<sup>76</sup> ასევე იმ ნაწილში, როდესაც თავად არ გამოავლინა რეპარაციის მოთხოვნის უფლებამოსილი დაზარალებული რეპარაციის ბრძანების მეხუთე ელემენტის საწინააღმდეგოდ.<sup>77</sup> სააპელაციო პალატამ თავად განსაზღვრა ზიანი პირდაპირი და არაპირდაპირი დაზარალებულისთვის<sup>78</sup> და დაავალდებულა პირველი სასამართლო პალატა, რომ დაედგინა რეპარაციის მოდალობები.<sup>79</sup>

საერთო ჯამში, სააპელაციო პალატამ გამოასწორა და განმარტა რეპარაციული რეჟიმის კრიტიკული საკითხები. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების მიგნებები ასევე საყურადღებო იყო პირველ სასამართლო პალატასა და ფონდს შორის ურთიერთობის, კონკრეტულად კი ფონდის მიმართ სასამართლოს უფლებამოსილების შესახებ. სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა სასამართლო პალატის მოსაზრებას, რომ მას შეეძლო ფონდის მიერ შეგროვებული რესურსის, მათ შორის „სხვა რესურსების“ გამოყენება რეპარაციის ბრძანების დაფინანსებისთვის. სააპელაციო პალატის თანახმად, ამ რესურსების განკარგვა შედიოდა ექსკლუზიურად ფონდის და არა სასამართლოს დისკრეციაში.<sup>80</sup> ამრიგად, სააპელაციო

---

73 Lubanga Judgment 2015, პარა. 99, 102.

74 იქვე, პარა. 99, 118.

75 იქვე, პარა. 140-143.

76 იქვე, პარა. 184.

77 იქვე, პარა. 211

78 იქვე, პარა. 191.

79 იქვე, პარა. 200.

80 იქვე, პარა. 106, 112, 114.

პალატამ შეცვალა პირველი სასამართლო პალატის მიდგომა ბ-ნი ლუბანგასთვის რეპარაციის პასუხისმგებლობის დაკისრების ნაცვლად ფონდის „სხვა რესურსებით“ ჩანაცვლების შესახებ. სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება იყო დადებითი განვითარება, რადგან მან ჩამოაყალიბა პრინციპების ზოგადი ჩარჩო, რომელიც გამოყენებულ იქნებოდა რეპარაციასთან დაკავშირებულ სამომავლო სამართალწარმოებაში.

სააპელაციო პალატის 2015 წლის გადაწყვეტილებამ არ გადაჭრა ყველა საკითხი. მხოლოდ 2017 წელს დაადგინა ახლადშექმნილმა მეორე სასამართლომ პალატამ ბ-ნი ლუბანგას პასუხისმგებლობა კოლექტიური რეპარაციისთვის. 2017 წლის გადაწყვეტილებით, მეორე სასამართლომ პალატამ დაადგინა, რომ ბ-ნი ლუბანგას პასუხისმგებლობა ეკისრებოდა 10,000,000 აშშ დოლარის ოდენობით 425 დაზარალებულის მიმართ და ნებისმიერი პოტენციური დაზარალებულის მიმართ, რომელიც შეიძლება გამოვლენილიყო მომავალში.<sup>81</sup> გადაწყვეტილებამ სრულყო 2015 წლის 3 მარტის რეპარაციის შესწორებული ბრძანება. ბ-ნი ლუბანგას გადახდისუუნარობის გამო, მეორე სასამართლომ პალატამ TVF-ს მიმართა დამატებითი თანხების მოზიდვის თხოვნით. მეორე სასამართლომ პალატის 2017 წლის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემდეგ, რეპარაციის საბოლოო ბრძანება გამოიცა მხოლოდ 2019 წელს,<sup>82</sup> როდესაც სააპელაციო პალატამ დაადასტურა ბ-ნი ლუბანგას 10 მილიონი აშშ დოლარის პასუხისმგებლობა.

მთლიანობაში, ლუბანგას საქმე არის ICC-ის რეპარაციის სისტემის ფუძემდებლური საქმე. მან დაადგინა რეპარაციის პრინციპები, განსაზღვრა მინიმალური მოთხოვნები რეპარაციის ბრძანებისთვის, შეიმუშავა რეპარაციის ძირითადი ელემენტები და განმარტა მსჯავრდებულისთვის რეპარაციის პასუხისმგებლობის დაკისრების პროცედურული და არსებითი ასპექტები. ასევე, ლუბანგამ დაადგინა მსჯავრდებულთა გადახდისუუნარობის სამართლებრივი არარელევანტურობა მათთვის რეპარაციის დაკისრებისთვის. გარდა ამისა, ლუბანგამ განსაზღვრა სასამართლოსა და TFV-ის როლი, მათ შორის, რეპარაციაზე უფლებამოსილი მსხვერპლის იდენტიფიცირების და რეპარაციის აღსრულების მიზნით TFV-ის რესურსების გამოყენების კუთხით. ამავდროულად, ლუბანგაში რეპარაციის პროცესი იყო საკმაოდ ხანგრძლივი, რადგან მოიცავდა უამრავ შუამდგომლობას, გასაჩივრებას, და გადაწყვეტილებებს, რამაც მნიშვნელოვნად გადაავადა რეპარაციის ბრძანების აღსრულება.

81 *Lubanga*, Corrected version of the “Decision Setting the Size of the Reparations Award for which Thomas Lubanga Dyilo is Liable” With Corrected Version of One Public Annex (Annex I); of One Public Annex (Annex III) and One Confidential Annex, EX PARTE, Registry, Trust Fund for Victims, Legal Representatives of the V01 and V02 Groups of Victims, and Office of Public Counsel for Victims (Annex II); and Confidential Redacted Version of Annex II, ICC-01/04-01/06-3379-Red-Corr-tENG, Trial Chamber II, 21 December 2017.

82 *Lubanga*, Judgment on the appeals against Trial Chamber II’s ‘Decision Setting the Size of the Reparations Award for which Thomas Lubanga Dyilo is Liable’, ICC-01/04-01/06-3466-Red, Appeals Chamber, 18 July 2019.

### 3.2. კატანგა: ICC-ის პირველი (სიმბოლური) ინდივიდუალური რეპარაცია

კატანგა იყო მეორე საქმე კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკიდან, რომელიც ეხებოდა 2003 წელს სოფელ ბოგოროზე თავდასხმას.<sup>83</sup> ჟერმენ კატანგა გაასამართლა ICC-მ 2014 წლის 7 მარტს, როგორც თანამონაწილე 2003 წელს ჩადენილი ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულის ერთ ეპიზოდში და ომის დანაშაულის ოთხ ეპიზოდში. მას მიესაჯა 12 წლით თავისუფლების აღკვეთა.<sup>84</sup> მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილება თავდაპირველად გაასაჩივრეს მხარეებმა, 2014 წლის 25 ივნისს უკან გაიხმეს აპელაცია. კატანგას საქმეში სასამართლო ფართოდ დაეყრდნო ლუბანგას საქმეში დადგენილ პრინციპებს. ბ-ნი ლუბანგას მსგავსად, ბ-ნი კატანგაც გამოცხადდა გადახდისუუნაროდ. თუმცა, კატანგა იყო პრეცედენტი, როდესაც ICC-მ პირველად მინიჭა მსხვერპლებს ინდივიდუალური რეპარაცია, კოლექტიურ რეპარაციასთან ერთად.

რეპარაციის ბრძანება მეორე სასამართლომ პალატამ გამოსცა ბრძანება რეპარაციის შესახებ 2017 წლის 24 მარტს.<sup>85</sup> ინდივიდუალური რეპარაციის მინიჭების მიზნით, პალატამ განიხილა 341 ინდივიდუალური განაცხადი და დაადგინა, რომ 297 მათგანი იყო დასაშვები. პალატამ დაადგინა, რომ 297 მსხვერპლისთვის მიყენებული ზიანის ფულადი ღირებულება იყო 3 752 620 აშშ დოლარი და თითოეულ მსხვერპლს მინიჭა სიმბოლური ინდივიდუალური კომპენსაცია 250 აშშ დოლარის ოდენობით.<sup>86</sup> საერთო ჯამში, სასამართლომ ბ-ნი კატანგას დააკისრა 1 მილიონი აშშ დოლარის პასუხისმგებლობა.<sup>87</sup> რაც შეეხება კოლექტიურ რეპარაციას, მეორე სასამართლომ პალატამ ბ-ნი კატანგას განუსაზღვრა ოთხი კოლექტიური რეპარაციის აღსრულება მსხვერპლთა სასარგებლოდ: 1) საცხოვრებლის მხარდაჭერა, 2) შემოსავლის მომტანი საქმიანობის მხარდაჭერა, 3) განათლების მხარდაჭერა და 4) ფსიქოლოგიური მხარდაჭერა.<sup>88</sup> მეორე სასამართლომ პალატამ ასევე განიხილა ხუთი განცხადება კომპენსაციის მინიჭების თაობაზე „თაობათაშორისი ზიანისათვის“ – ტერმინი, რომელიც სასამართლო პალატამ გამოიყენა, რათა აღეწერა ფენომენი, როდესაც „სოციალური ძალადობა ერთი თაობიდან გადაეცემა მეორე თაობას, ამ უკანასკნელთათვის ტრავმული შედეგებით.“<sup>89</sup> თუმცა, მეორე სასამართლომ პალატამ არ დააკმაყოფილა ეს მოთხოვნები საკმარისი მტკიცებულების არარსებობის გამო, რაც დაამტკიცებდა, რომ არსებობდა მიზეზობრივი კავშირი განცდილ ტრავმასა და შესაბამის დანაშაულს შორის.

83 თავდაპირველად, მოცემული საქმე იყო ინიცირებული როგორც *The Prosecutor v. Germain Katanga and Mathieu Ngudjolo Chui*. თუმცა, საქმეები განცალკევდა 2012 წლის 21 ნოემბერს და მეთუ ნგუდჯოლო ჩუი მოგვიანებით, 2012 წლის 18 დეკემბერს, გამართლდა.

84 მოგვიანებით, სასჯელი შემცირდა 3 წლითა და 8 თვით. *Katanga*, Decision on the review concerning reduction of sentence of Mr. Germain Katanga, ICC-01/04-01/07-3615, Appeals Chamber, 13 November 2015.

85 *Katanga Order* 2017, ზედა შენიშვნა 39.

86 ამ თანხასთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატამ შემდგომში აღნიშნა, რომ 250 აშშ დოლარი „არ უნდა განიხილებოდეს, როგორც პრეცედენტი ან ოდენობის სტანდარტი, როდესაც საქმე ეხება რეპარაციის განსაზღვრას მომავალ საქმეებში.“ იხ. *Katanga Judgment* 2018, ზედა შენიშვნა 7, პუნქტი. 149.

87 *Katanga Order* 2017, ზედა შენიშვნა 39.

88 იქვე.

89 *Katanga Order* 2017, ზედა შენიშვნა 39, პარა. 132.

2018 წლის 8 მარტს, სააპელაციო პალატამ დიდწილად დაადასტურა მეორე სასამართლო პალატის დასკვნები.<sup>90</sup> სააპელაციო პალატა არ დაეთანხმა პალატის მიდგომას, რომ თითოეული განაცხადი უნდა შეფასებულიყო ინდივიდუალურად, რადგან ასეთი მიდგომა იწვევდა რეპარაციის გადავადებას.<sup>91</sup> სააპელაციო პალატის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ეს მიდგომა შეიძლება მიზანშეწონილი ყოფილიყო პირთა ძალიან მცირე რაოდენობის შემთხვევაში, სამართალწარმოების დაჩქარების მიზნით, „ეს არც არის აუცილებელი და არც სასურველი“, როდესაც სახეზეა დაზარალებულთა დიდი რაოდენობა.<sup>92</sup> სააპელაციო პალატამ ასევე დაადგინა, რომ მსჯავრდებულის პასუხისმგებლობაზე – ანაზღაუროს ნებისმიერი ზიანი, რომელიც გამოწვეული იყო იმ დანაშაულებით, რომლებშიც ისინი დამნაშავედ ცნეს – გავლენას არ ახდენს იმის შესაძლებლობა, რომ სხვა ადამიანებსაც შეეძლოთ ამაში წვლილის შეტანა.<sup>93</sup> სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყოველთვის არ არის მიზანშეწონილი, რომ მსჯავრდებულს დაეკისროს გამოწვეული ზიანის გამოსასწორებლად საჭირო რეპარაციის პასუხისმგებლობა, თუმცა რეპარაციის ბრძანება არ უნდა აღემატებოდეს ზიანის გამოსწორების მთლიან ხარჯს. ეს მიგნება ეწინააღმდეგება ლუბანგას პრინციპს, რომ რეპარაციის პასუხისმგებლობა უნდა იყოს მიყენებული ზიანისა და დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობის ხარისხისა და ფორმის პროპორციული.

სააპელაციო პალატამ გააუქმა მეორე სასამართლო პალატის რეპარაციის ბრძანება თაობათაშორისი ზიანისთვის რეპარაციის გაცემაზე უარის ნაწილში. სააპელაციო პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ეს განაცხადები ხელახლა შეეფასებინა მეორე სასამართლო პალატას, განეხილა მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ბ-ნი კატანგას მიერ ჩადენილ დანაშაულებსა და მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ ზიანს შორის, და გადაეწყვიტა რეპარაციის მინიჭების საკითხი. ბრძანების დარჩენილი ნაწილი დარჩა ძალაში.

კატანგას საქმემ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რეპარაციის ახალი არეალების შესწავლასა და ICC-ს რეპარაციის სისტემის კრისტალიზაციაში. კატანგამ აღიარა ლუბანგას პრინციპების რელევანტურობა და შეცვალა ისინი საქმეში არსებული სხვადასხვა ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით. პირველად სასამართლოს პრაქტიკაში, კოლექტიურ რეპარაციასთან ერთად, დაზარალებულებს მიენიჭათ ინდივიდუალური რეპარაცია. უფრო მეტიც, ლუბანგასგან განსხვავებით, კატანგამ განიხილა რეპარაციის მოთხოვნის ინდივიდუალური განაცხადები და დაადგინა მსხვერპლთა მიერ მიყენებული ზიანის ფულადი ღირებულება, ანუ თავი არ შეიკავა ზიანის რაოდენობრივი შეფასებისგან.

90 Katanga Judgment 2018, ზედა შენიშვნა 7.

91 იქვე. თუმცა, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სასამართლო პალატის მიდგომა არ წარმოადგენდა შეცდომას სამართალში.

92 იქვე, პარა. 71.

93 იქვე, პარა. 178.

### 3.3. ალ მაჰდი: რეპარაცია კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებისთვის

აჰმად ალ ფაჟი ალ მაჰდი 2012 წელს ICC-მ გაასამართლა ომის დანაშაულისთვის, რაც გულისხმობდა განზრახ თავდასხმას ისტორიულ ძეგლებსა და შენობებზე, რომელთა შორის იყო ცხრა მავზოლეუმი და ერთი მეჩეთი ტიმბუქტუში, მალიში. ყველა შენობა, ერთის გარდა, მიეკუთვნებოდა UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებს. ბრალის აღიარების შემდეგ, რამაც მნიშვნელოვნად დააჩქარა პროცესი, 2016 წელს მას მიესაჯა ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა.<sup>94</sup> 2017 წლის 17 აგვისტოს, მერვე სასამართლო პალატამ გამოსცა ბრძანება რეპარაციის შესახებ.<sup>95</sup> მან დაადგინა, რომ ბ-ნი ალ მაჰდი პასუხისმგებელი იყო ტიმბუქტუს მოსახლეობისთვის 2,7 მილიონი ევროს გადახდაზე, რაც აერთიანებდა როგორც ინდივიდუალურ, ასევე კოლექტიურ რეპარაციას. წინა შემთხვევების მსგავსად, ბ-ნი ალ მაჰდი გამოცხადდა გადახდისუნაროდ.

იმის მიუხედავად, რომ საქმე ეხებოდა კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ დანაშაულებს, მერვე სასამართლო პალატამ დაადასტურა ლუბანგას პრინციპების მოქმედება.<sup>96</sup> მერვე სასამართლო პალატის აზრით, კულტურული მემკვიდრეობის განადგურების დანაშაულის სპეციფიკური ხასიათის გათვალისწინებით, ზიანი მიადგა არა მხოლოდ მალის საზოგადოებას, არამედ მთლიანად საერთაშორისო საზოგადოებას. თუმცა, ზიანის შეფასებისას სასამართლო შემოფარგლა მხოლოდ ტიმბუქტუს საზოგადოებით, რათა მაქსიმალურად გაზრდილიყო რეპარაციის ეფექტი.<sup>97</sup> კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელობის გათვალისწინებით, პალატამ კოლექტიური რეპარაცია მიიჩნია ყველაზე შესაფერისი ტიპის რეპარაციად მიყენებული ზიანის აღმოსაფხვრელად.<sup>98</sup> პალატამ ასევე დაადგინა, რომ ბ-ნი ალ მაჰდის დანაშაულებმა ეკონომიკური ზიანი მიაყენა ტიმბუქტუს საზოგადოებას. მიუხედავად იმისა, რომ კულტურული ძეგლების განადგურების ეკონომიკური გავლენა ძირითადად იყო კოლექტიური ხასიათის, პალატამ ინდივიდუალური რეპარაცია განსაზღვრა მსხვერპლთა გარკვეულ ჯგუფს, „რომელთა საარსებო წყაროც ექსკლუზიურად იყო დამოკიდებული“ განადგურებულ მემკვიდრეობაზე.<sup>99</sup> ამრიგად, სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური რეპარაციის მინიჭება.

რაც შეეხება მოდალობებს, პალატამ ინდივიდუალური რეპარაციის ფორმად განსაზღვრა კომპენსაცია, ხოლო ტიმბუქტუს საზოგადოების ეკონომიკური ზიანის აღმოსაფხვრელად – კოლექტიური რეპარაცია, საგანმანათლებლო და ფინანსური დახმარების პროგრამების

94 2021 წლის 25 ნოემბერს, სააპელაციო პალატამ 9 წლით თავისუფლების აღკვეთა შეამცირა ორი წლით. სასჯელის დასრულების თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 18 სექტემბერი. იხ. ICC, Case Information Sheet: Situation in the Republic of Mali: The Prosecutor v. Ahmad Al Faqi Al Mahdi, ICC-PIDS-CIS-MAL-01-09/22\_Eng (Updated: January 2022), <https://www.icc-cpi.int/sites/default/files/CaseInformationSheets/Al-MahdiEng.pdf> (19.08.2022).

95 Al Mahdi Order 2017, ზედა შენიშვნა 34.

96 იქვე, პარა. 25-38.

97 იქვე, პარა. 51-56.

98 იქვე, პარა. 60-67.

99 იქვე, პარა. 81 (ხაზგასმა დედანში).

ჩათვლით.<sup>100</sup> რაც შეეხება მიყენებულ მორალურ ზიანს, პალატამ განსაზღვრა ინდივიდუალური და კოლექტიური რეპარაცია კომპენსაციისა და რეაბილიტაციის გზით. ეს უკანასკნელი მოიცავდა სიმბოლურ ღონისძიებებს – როგორცაა მემორიალი, მოხსენიება ან მიტევების ცერემონია.<sup>101</sup> პალატამ ასევე განიხილა ბ-ნი ალ მაჰდის შესაძლო პასუხისმგებლობა დაზარალებულების მიერ მოთხოვნილი სავარაუდო ჯანმრთელების დაზიანებისთვის და დაცული შენობების გარდა სხვა ქონების დაზიანებისთვის.<sup>102</sup> თუმცა, პალატამ არ დააკმაყოფილა ამ სახის ზიანისთვის კომპენსაციის მოთხოვნა, რადგან ასეთი ზიანი არ ექცეოდა ბ-ნი ალ მაჰდის მსჯავრდების ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ სასამართლომ განსაზღვრა სიმბოლური რეპარაცია განახლებულ კულტურულ ობიექტებზე თავდასხმების განმეორების პრევენციის მიზნით.<sup>103</sup> როგორც სიმბოლური ჟესტი, პალატამ ერთი სიმბოლური ევრო მიანიჭა მალის სახელმწიფოს, როგორც რეპარაციის ნაწილი, და ერთი სიმბოლური ევრო საერთაშორისო საზოგადოებას, რომელსაც წარმოადგენდა UNESCO, საქმის სპეციფიკიდან გამომდინარე.<sup>104</sup> რაც შეეხება ბ-ნი ალ მაჰდის პასუხისმგებლობის ფარგლებს თითოეული სახის ზიანისთვის, პალატამ მისი პასუხისმგებლობა დაცული შენობების დაზიანებისთვის შეაფასა 97 000 ევროდ, შედეგად დამდგარი ეკონომიკური ზარალისთვის 2.12 მილიონი ევროდ და მორალური ზიანისთვის 483 000 ევროდ.<sup>105</sup> ბ-ნი ალ მაჰდის მთლიანი პასუხისმგებლობა განისაზღვრა 2,7 მილიონი ევროთი.<sup>106</sup> 2018 წლის 8 მარტს, სააპელაციო პალატამ, უმეტესწილად, დაადასტურა მერვე სასამართლო პალატის რეპარაციის ბრძანება და შეცვალა იგი ორ პროცედურულ საკითხთან მიმართებით.<sup>107</sup>

შეჯამების სახით, მიუხედავად იმისა, რომ ალ მაჰდი დაეყრდნო ლუბანგას პრინციპებს, მაგრამ ამავდროულად გააძლიერა სასამართლოს რეპარაციის ჩარჩო ახალ გამოწვევებზე რეაგირებით,<sup>108</sup> დაზარალებულების იდენტიფიცირების ჩათვლით.<sup>109</sup> ალ მაჰდი გახდა კიდევ ერთი „პირველი“ საქმე არა მხოლოდ დანაშაულის სპეციფიკის გამო, არამედ პალატის მიერ კოლექტიურ რეპარაციასთან შედარებით ინდივიდუალური რეპარაციასთვის უპირატესობის მინიჭებით. უფრო მეტიც, ალ მაჰდის რეპარაციის ბრძანება გამოიწვევა სასამართლოს გახსნილობით სიმბოლური ღონისძიებების მიმართ.

100 იქვე, პარა. 83.

101 იქვე, პარა. 84-90.

102 იქვე, პარა. 93-103.

103 იქვე, პარა. 67.

104 იქვე, პარა. 106-107.

105 იქვე, პარა. 118, 128, 133.

106 იქვე, პარა. 134.

107 *Al Mahdi*, Public redacted Judgment on the appeal of the victims against the “Reparations Order”, ICC-01/12-01/15-259-Red2, Appeals Chamber, 8 March 2018 (სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ შემოწმების პროცესში განმცხადებლებს არ მოეთხოვებოდათ მათი ვინაობის გამხელა ბ-ნი ალ მაჰდისთვის და ნებისმიერ განმცხადებელს, რომლის განაცხადიც არ დაკმაყოფილდებოდა, უფლება ჰქონდა, მოეთხოვა სასამართლო პალატის მიერ გადაწყვეტილების გადახედვა).

108 იხ. Francesca Capone, “An Appraisal of the Al Mahdi Order on Reparations and Its Innovative Elements: Redress for Victims of Crimes against Cultural Heritage”, *Journal of International Criminal Justice* 16(3) (2018): 645–661.

109 იქვე, 652-653. იხ. ასევე Marina Lostal, “Implementing Reparations in the Al Mahdi Case: A Story of Monumental Challenges in Timbuktu”, *Journal of International Criminal Justice* 19 (2021): 838-844.

### 3.4. ნტაგანდა: ლუბანგას პრინციპების გაფართოება სქესობრივი დანაშაულებისთვის ICC-ის პირველი მსჯავრდებით

მიუხედავად იმისა, რომ რომის სტატუტი მოიცავს სქესობრივი დანაშაულების ფართო ჩამონათვალს, სქესობრივი და გენდერული ძალადობის საფუძველზე (შემდგომში SGBV) ჩადენილი დანაშაულების სამართლებრივი დევნის ICC-ის გამოცდილება არის იმედგამაცრუებელი და სავსეა გაშვებული შესაძლებლობებით.<sup>110</sup> ამასთან დაკავშირებით, ნტაგანდას საქმე, მესამე შემთხვევა კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკიდან, პროგრესული განვითარებაა ორი მიმართულებით: ეს არის ICC-ს პირველი საბოლოო მსჯავრდება სქესობრივი დანაშაულებისთვის, კერძოდ გაუპატიურებასა და სქესობრივი მონობისთვის, და პირველი ასეთი საქმე, რომელმაც მიაღწია რეპარაციის სტადიას.

ბოსკო ნტაგანდა, შტაბის უფროსის ყოფილი მოადგილე და კონგოს *Forces Patriotiques pour la Libération du Congo*-ის (FPLC) ოპერაციების მეთაური, 2019 წლის 8 ივლისს დამნაშავედ იქნა ცნობილი ომისა და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების 18 ეპიზოდში, 2002-2003 წლებში იტურიში, კონგოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში ჩადენილი დანაშაულებისთვის. მას მიესაჯა ჯამში 30 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც რომის სტატუტის 77-ე მუხლის მიხედვით, არის თავისუფლების აღკვეთისთვის განსაზღვრული წლების მაქსიმალური ოდენობა. განაჩენიც და სასჯელიც სააპელაციო პალატამ დადასტურა 2021 წლის 30 მარტს.

2021 წლის 8 მარტს, VI სასამართლო პალატამ გამოსცა რეპარაციის ბრძანება ბ-ნი ნტაგანდას წინააღმდეგ და მთლიანი პასუხისმგებლობა განსაზღვრა 30,000,000 აშშ დოლარის ოდენობით,<sup>111</sup> რაც რეკორდული მაჩვენებელია რეპარაციის ბრძანებების ისტორიაში. რეპარაციის ბრძანება გამოიცა მანამ, სანამ გამამტყუნებელი განაჩენი საბოლოო გახდებოდა სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებით.<sup>112</sup> SGBV-ის დაზარალებულთათვის უფრო მორგებული პრინციპების საჭიროებაზე ფოკუსირებით, ნტაგანდას საქმემ გააფართოვა ლუბანგას პრინციპები და, ლუბანგაში დადგენილ პრინციპებთან შედარებით, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს „უფრო მეტად აღსრულებაზე ორიენტირებულ“ რეპარაციულ რეჟიმს,<sup>113</sup> ნტაგანდამ განავითარა „უფრო მეტად დაზარალებულზე ორიენტირებული“ ჩარჩო.<sup>114</sup> პალატამ დაადგინა დამატებითი ექვსი ახალი პრინციპი: 1) „ზიანის არ მიყენება“; 2) გენდერულად ინკლუზიური და მგრძობიარე მიდგომა რეპარაციისადმი; 3) სქესობრივ და გენდერულ

110 Tanja Altunjan, “The International Criminal Court and Sexual Violence: Between Aspirations and Reality”, *German Law Journal* 22(5) (August 2021): 878 – 893.

111 Ntaganda Order 2021, ზედა შენიშვნა 35, პარა 247.

112 იქვე, პარა. 5 (სასამართლომ განმარტა, რომ რეპარაციის ბრძანება გამოიცა სააპელაციო გადაწყვეტილების გამოტანამდე, რათა დაჩქარებულიყო რეპარაციის პროცესი და რადგან პალატის ორი მოსამართლის მანდატი ამოწურებოდა მანამ, სანამ სააპელაციო პალატა გამოიტანდა გადაწყვეტილებას).

113 Marina Lostal, “The Ntaganda Reparations Order: A Marked Step Towards a Victim-Centred Reparations Legal Framework at the ICC”, *EJIL: Talk!*, entry posted 24 May 2021, <https://www.ejiltalk.org/the-ntaganda-reparations-order-a-marked-step-towards-a-victim-centred-reparations-legal-framework-at-the-icc/> (19.08.2022).

114 Moffet, Sandoval (2012), ზედა შენიშვნა 9, 751.

ძალადობასთან დაკავშირებული პრინციპი; 4) პრიორიტეტიზაცია; 5) ტრანსფორმაციული რეპარაცია; 6) ზედმეტი კომპენსაციის გამორიცხვა.

სასამართლომ გაუპატიურებისა და სქესობრივი მონობის შედეგად დაბადებული ბავშვები აღიარა პირდაპირ მსხვერპლებად, ხოლო გაუპატიურების ან სქესობრივი მონობის მსხვერპლი ქალებისა და გოგონების შვილები განიხილა ირიბ მსხვერპლებად.<sup>115</sup> რაც შეეხება რეპარაციის ტიპებსა და მოდალობებს, VI სასამართლო პალატამ განსაზღვრა „კოლექტიური რეპარაცია ინდივიდუალური კომპონენტებით“ როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი მსხვერპლების სასარგებლოდ.<sup>116</sup> სასამართლოს აზრით, ინდივიდუალური და კოლექტიური რეპარაციის ასეთი სინთეზი იყო ყველაზე ოპტიმალური მიდგომა, რათა გამკლავებოდა დაზარალებულთა დიდი რაოდენობის მიერ განცდილ ფართ სპექტრის, განსაკუთრებით გაუპატიურებასთან და სქესობრივ მონობასთან დაკავშირებულ ზიანს. მოდალობების კუთხით, სასამართლომ გააერთიანა სხვადასხვა მოდალობა, რომელთა შორის იყო რესტიტუცია, კომპენსაცია, რეაბილიტაცია, ტრავმაზე დაფუძნებული კონსულტაცია, სატისფაქციის ღონისძიებები, სიმბოლური რეპარაცია და ბ-ნი ნტაგანდას მიერ ნებაყოფლობითი ბოდიშის მოხდა (დაზარალებულებთან წინასწარი კონსულტაციებით).<sup>117</sup>

ნტაგანდას საქმემ მიაღწია წარმატებას იმ ასპექტში, რაც ვერ შეძლო ლუბანგას საქმემ. ლუბანგას საქმე, რომელიც რჩება ICC-ის პრეცედენტულ გადაწყვეტილებად რამდენიმე თვალსაზრისით, გაკრიტიკებულ იქნა პროკურორის გადაწყვეტილების გამო, რომელმაც უარი თქვა ბ-ნი ლუბანგასთვის სქესობრივი და გენდერული ძალადობის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულებისთვის ბრალდების წაყენებაზე.<sup>118</sup> მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნი ლუბანგა არ იყო მსჯავრდებული SGBV-თვის, სასამართლო პირველმა პალატამ ჩათვალა, რომ ბ-ნი ლუბანგა მაინც იყო პასუხისმგებელი SGBV-ის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებისთვის. თუმცა, სააპელაციო პალატამ შეცვალა ეს გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ პირველ სასამართლოს პალატას არ შეეძლო პასუხისმგებლობა დაეკისრებინა ბ-ნი ლუბანგასთვის ასეთი ზიანის ანაზღაურებისთვის. ამასთან, აღნიშნა, რომ SGVB-ს დაზარალებულებს შეეძლოთ ესარგებლათ დაზარალებულთა ფონდის დახმარების მანდატით.<sup>119</sup> მიუხედავად ამისა, ICC-ში SGBV-ის შედეგად დაზარალებულთათვის რეპარაციის მიღების შეუძლებლობა შეფასებულია, როგორც „გენდერული უსამართლობის კასკადი“.<sup>120</sup> ნტაგანდა არის წინგადადგმული ნაბიჯი, რომელმაც სქესობრივი და გენდერული ძალადობის დაზარალებულებს გაუხსნა გზა, რათა ICC-თვის მიემართათ რეპარაციის მოთხოვნით.

115 Ntaganda Order 2021, ზედა შენიშვნა 35, პარა. 120-123.

116 იქვე, პარა. 7, 9.

117 იქვე, პარა. 197-211.

118 იხ. მაგალითად Gabrielle Louise McIntyre, “The Pace of Progress: Addressing Crimes of Sexual and Gender-Based Violence in the Generation after Rome”, *AJIL Unbound* 112 (2018): 177–178. Anja Wiersing, “Lubanga and its Implications for Victims Seeking Reparations under the International Criminal Court”, *Amsterdam Law Forum* 4(3) (2012): 22-23, 29-30.

119 Lubanga Judgment 2015, ზედა შენიშვნა 54, პარა. 196-199.

120 Louise Chappell, “The Gender Injustice Cascade: ‘Transformative’ Reparations for Victims of Sexual and Gender-Based Crimes in the Lubanga Case at the International Criminal Court”, *The International Journal of Human Rights* 21(9) (2017): 1223-1242.

## 4. რეპარაციის ბრძანებების უსრულება: ურთიერთმედება სსსამართლოსა და დაზარალებულთა ფონდს შორის

ყველაზე თვალსაჩინო გამოწვევა ICC-ს რეპარაციის ბრძანებებთან დაკავშირებით არის მათი აღსრულება, განსაკუთრებით მსჯავრდებულთა გადახდისუუნარობის გამო. ყველა მსჯავრდებული, ვის მიმართაც სასამართლომ გამოსცა რეპარაციის ბრძანება, ცნობილ იქნა გადახდისუუნაროდ. ლუბანგაში, სასამართლო პალატამ უარი თქვა ბ-ნ ლუბანგასთვის რეპარაციის დაკისრებაზე მისი გადახდისუუნარობის გამო და მიზანშეწონილად მიიჩნია მხოლოდ არაფულადი და სიმბოლური რეპარაციის განსაზღვრა.<sup>121</sup> თუმცა, სააპელაციო პალატის მიერ უკვე მტკიცედ არის დადგენილი, რომ მსჯავრდებულის გადახდისუუნარობა არ წარმოადგენს დაბრკოლებას რეპარაციისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებაში.<sup>122</sup> ეს მიგნება შემდგომში გამოყენებულ იქნა ყველა რეპარაციის ბრძანებაში, რომელიც სასამართლომ გამოსცა კატანგაში, ალ მაჰდიში და ნტაგანდაში. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მიგნება არის სამართლებრივი დებულებების სწორი განმარტება, დაზარალებულები დგებიან „პრაქტიკული აბსურდის“ წინაშე, რადგან ნაკლებად სავარაუდოა, რომ მსჯავრდებულები აღასრულებენ რეპარაციის ბრძანებებს სასჯელის მოხდის დროს ან მას შემდეგ.<sup>123</sup> მიუხედავად ამისა, დაზარალებულთა ფონდის მიერ რეპარაციის ბრძანებების დაფინანსებისკენ მიმართული ძალისხმევის შედეგად, შესაძლებელია, რომ შემსუბუქდეს „პრაქტიკული აბსურდის“ მდგომარეობა.

### 4.1. რეპარაციის მიღებაზე უფლებამოსილი დაზარალებულების იდენტიფიცირება

რეპარაციის მიღებაზე უფლებამოსილი დაზარალებულების იდენტიფიცირება სასამართლოსთვის რთული ამოცანაა. დაზარალებულთა რაოდენობის შეფასებისას, როგორც სასამართლო პროცესის, ასევე რეპარაციის ეტაპზე, ICC დიდწილად ეყრდნობა მიახლოებით რიცხვებს ან მინიმალურ დაანგარიშებებს. ზოგადად, მასობრივი დანაშაულების დაზარალებულთა ზუსტი რაოდენობის დადგენა გამოწვევებით სავსე ამოცანაა ნებისმიერი საერთაშორისო სასამართლოსთვის. ICC-ის ინდივიდუალური სასამართლო პალატები სარგებლობენ მნიშვნელოვანი ავტონომიითა და უფლებამოსილებით, რათა გადაწყვიტონ, რომელია ყველაზე შესაფერისი მიდგომა რეპარაციის პროცესის დროს, საქმეების სპეციფიკური მახასიათებლებისა და დაჩქარებული საქმისწარმოების საჭიროების გათვალისწინებით.<sup>124</sup> ამრიგად, სასამართლოს მიერ გამოყენებული მეთოდოლოგია ინდივიდუალური

121 Lubanga Decision 2012, ზედა შენიშვნა 43, პარა. 269.

122 Lubanga Judgment 2015, ზედა შენიშვნა 54, პარა. 102-105.

123 Owiso Owiso, “The International Criminal Court and Reparations: Judicial Innovation or Judicialisation of a Political Process?”, *International Criminal Law Review* 19 (2019): 524-526.

124 Katanga Judgment 2018, ზედა შენიშვნა 7, პარა. 64.

დაზარალებულების იდენტიფიცირებისთვის და მათი განცხადებების დასაშვებობის შესაფასებლად არ არის თანმიმდევრული და განსხვავდება პალატების მიხედვით, რასაც ახასიათებს დაზარალებულთა ფონდის ჩართულობის სხვადასხვა ხარისხი.

ლუბანგაში, სასამართლო პალატამ გადაწყვიტა, რომ არ განეხილა ინდივიდუალური განაცხადის ფორმები და ყველა მათგანი განსახილველად გადასცა დაზარალებულთა ფონდს.<sup>125</sup> სასამართლო პალატის მიდგომა მოიწონა სააპელაციო პალატამ, რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ საჭირო არ იყო გადაწყვეტილების მიღება რეპარაციის თითოეულ ინდივიდუალურ მოთხოვნაზე, როდესაც გაცემული იყო მხოლოდ კოლექტიური რეპარაციის ბრძანება.<sup>126</sup> თუმცა, რეპარაციის განცხადებები ინდივიდუალურად გამოიკვლია ახლადშექმნილმა სასამართლო პალატამ ბ-ნი ლუბანგას ფულადი ვალდებულების შესაფასებლად. პალატამ გაანალიზა რეპარაციის თითოეული განაცხადის და დაადგინა, რომ 473 სავარაუდო მსხვერპლიდან 425-ს ჰქონდა კოლექტიური რეპარაციის მიღების უფლება.<sup>127</sup> პალატამ ასევე დაადგინა, რომ 425 ბენეფიციარი იყო ბ-ნი ლუბანგას მიერ დაზარალებულთა მხოლოდ მცირე ნაწილი, რადგან „ასობით და შესაძლოა, ათასობით სხვა დაზარალებული“ ასევე შეიძლება განიცდიდეს მის მიერ ჩადენილი დანაშაულების შედეგებს.<sup>128</sup> ამრიგად, სასამართლო პალატამ დაავალა დაზარალებულთა ფონდს, რომ შეემოწმებინა იმ პირთა მიერ რეპარაციის მოთხოვნის საფუძველი, რომელთაც არ ჰქონდათ რეპარაციის განცხადების გაგზავნის შესაძლებლობა.<sup>129</sup>

კატანგაში, სასამართლო პალატამ თავად განიხილა 341 ინდივიდუალური განაცხადი, რაც გააკრიტიკა სააპელაციო პალატამ.<sup>130</sup> ალ მაჰდიში, სასამართლო პალატამ ჩათვალა, რომ არ იყო საჭირო ყოველი ინდივიდუალური რეპარაციის მოთხოვნაზე გადაწყვეტილების მიღება, როდესაც მსჯავრდებულს დაკისრებული ჰქონდა როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური რეპარაცია. ინდივიდუალური რეპარაციისთვის ყველა უფლებამოსილი დაზარალებულის იდენტიფიცირების „არაპრაქტიკულობაზე“ მითითებით, პალატამ ეს დავალება დააკისრა დაზარალებულთა ფონდს, რათა ამ უკანასკნელს შეემოწმებინა არსებული 139 განმცხადებლის და ნებისმიერი პოტენციური განმცხადებლის მიერ რეპარაციის მოთხოვნის საფუძველიანობა. მიუხედავად იმისა, რომ პალატამ დაზარალებულთა ფონდს მისცა დისკრეცია, თავად განესაზღვრა შემოწმების პროცესის დეტალები, პალატამ განსაზღვრა ასეთი შემოწმების პროცესის ზოგადი ჩარჩო, რათა უზრუნველყოფილიყო როგორც დაზარალებულის, ასევე მსჯავრდებულის უფლებები და შეინარჩუნა მაღალი ხარისხის კონტროლი დაზარალებულთა ფონდის საქმიანობაზე.<sup>131</sup> სააპელაციო პალატამ ასევე დაადასტურა პალატის მიერ ასეთი უფლებამოსილების დელეგირების შესაძლებლობა, ვინაიდან დაზარალებულ განმცხადებლებს შეეძლოთ მოეთხოვათ დაზარალებულთა ფონდის მიერ მიღებული ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების სასამართლო კონტროლი პალატის

125 Katanga Judgment 2018, ზედა შენიშვნა 43, პარა. 284.

126 იქვე, პარა. 152.

127 Lubanga Decision 2017, ზედა შენიშვნა 81, პარა. 190.

128 იქვე, პარა. 194.

129 იქვე, პარა. 293.

130 იხ. ზემოთ, ქვეთავი 3.2.

131 Al Mahdi Order 2017, ზედა შენიშვნა 34, პარა. 142-146.

წინაშე.<sup>132</sup> ამრიგად, სასამართლომ შეინარჩუნა სასამართლო ზედამხედველობა შემოწმების პროცესში დაზარალებულთა ფონდის მიერ მიღებულ ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებებზე.

ნტაგანდაში, პალატამ გადაწყვიტა, რომ სასურველი იყო რეპარაციის მიღებაზე უფლებამოსილი დაზარალებულების იდენტიფიკაციის პროცესის რეპარაციის ბრძანების გამოცემამდე დაწყება.<sup>133</sup> სასამართლო პალატამ აირჩია ახალი გზა: დაეყრდნო რა სააპელაციო პალატის მიერ რეპარაციის ბრძანების ელემენტებთან დაკავშირებით ლუბანგაში გაკეთებულ მიგნებებს,<sup>134</sup> უფლებამოსილი დაზარალებულების ინდივიდუალურად იდენტიფიცირების ნაცვლად, დაზარალებულთა ფონდს განუსაზღვრა რეპარაციის მიღების საფუძვლის კრიტერიუმები.<sup>135</sup>

#### 4.2. დაზარალებულთა ფონდის (TFV) როლი რეპარაციის ბრძანების აღსრულებაში

სასამართლოს პრაქტიკამ დაზარალებულთა ფონდი აქცია რეპარაციის ცენტრალურ აღმასრულებელ ორგანოდ, თავდაპირველად კი მას მოიაზრებდნენ როგორც რეპარაციისთვის საჭირო სახსრების მხოლოდ მიმღებ, დეპოზიტარ ორგანოდ. რომის სტატუტის 75-ე მუხლის მე-2 პუნქტის მეორე ნაწილის თანახმად, „როდესაც საჭიროა, სასამართლომ შეიძლება დაადგინოს, რომ რეპარაციის მინიჭება მოხდეს დაზარალებულთა ფონდის მეშვეობით“: გადახდის უზუნარობის შემთხვევაში, სასამართლო თხოვნით მიმართავს დაზარალებულთა ფონდს, რომ „შეძლებისდაგვარად შეავსოს რეპარაციის ბრძანება და გასწიოს დამატებითი სახსრების მოზიდვის ძალისხმევა, რამდენადაც ეს აუცილებელია ბრძანების ჯამური ღირებულების გადახდისთვის“ და ამავე დროს აღნიშნავს, რომ რეპარაციის სრული ოდენობის დაფინანსება ფინანსების მოზიდვით არის რთული, ხშირად კი შეუძლებელი.<sup>136</sup> თავის მხრივ, ეს არ ათავისუფლებს მსჯავრდებულს დაზარალებულთა ფონდის მიმართ ანაზღაურების ვალდებულებისგან.<sup>137</sup>

სასამართლოს ურთიერთობის საკითხი დაზარალებულთა ფონდთან, განსაკუთრებით გადახდის უზუნარო მსჯავრდებულების კონტექსტში, იყო არსებითი საკითხი ლუბანგას საქმეში. რეპარაციის გადახდის მიზნით, სასამართლო პალატამ საკუთარი უფლებამოსილების ქვეშ მოაქცია დაზარალებულთა ფონდის „სხვა რესურსები“<sup>138</sup> ანუ ის რესურსები, რომელიც არ მიეკუთვნება ჯარიმების, კონფისკაციების ან რეპარაციის ბრძანების გზით ამოღებულ

132 Al Mahdi Judgment 2018, ზედა შენიშვნა 107, პარა. 72.

133 Ntaganda, First Decision on Reparations Process, ICC-01/04-02/06-2547, Trial Chamber VI, 26 June 2020, პარა. 26.

134 Lubanga Judgment 2015, ზედა შენიშვნა 54, პარა. 205. („როგორც მესუთე ელემენტი, რეპარაციის ბრძანებამ ან უნდა გამოავლინოს დაზარალებულები, რომლებსაც უფლება აქვთ, ისარგებლონ რეპარაციით, ან უნდა ჩამოაყალიბოს მათ მიერ რეპარაციის მოთხოვნის საფუძვლის კრიტერიუმები“).

135 Ntaganda Order 2021, ზედა შენიშვნა 35, პარა. 105.

136 Al Mahdi Order 2017, ზედა შენიშვნა 34, პარა. 138. Ntaganda Order 2021, ზედა შენიშვნა 35, პარა. 257.

137 Lubanga Judgment 2015, ზედა შენიშვნა 54, პარა. 115.

138 Lubanga Decision 2012, ზედა შენიშვნა 43, პარა. 269-275.

ქონებას.<sup>139</sup> ეს არის რესურსი, რომელიც შეგროვდა, *inter alia*, ნებაყოფლობითი შენატანებით.<sup>140</sup> თუმცა, სააპელაციო პალატამ შეცვალა სასამართლო პალატის გადაწყვეტილება და დაადგინა, რომ რეპარაციის აღსრულების მიზნით „სხვა რესურსების“ მიქცევა იყო დაზარებულთა ფონდის დისკრეციული უფლებამოსილება.<sup>141</sup> ამ დასკვნის მეშვეობით, სააპელაციო პალატამ უზრუნველყო დაზარალებულთა ფონდის მიერ გადაწყვეტილების მიღების ავტონომია სასამართლოსთან მიმართებით.

როდესაც სასამართლო გამოსცემს რეპარაციის ბრძანებებს, დაზარალებულთა ფონდს ევალება, რომ მოამზადოს ბრძანების აღსრულების გეგმის პროექტი (შემდგომში „DIP“) და დასამტკიცებლად წარუდგინოს პალატას.<sup>142</sup> სასამართლო პალატას შეუძლია დაადასტუროს, უარყოს ან შეცვალოს DIP. ამრიგად, საბოლოო ჯამში, სასამართლო (და არა დაზარალებულთა ფონდი) აძლევს მწვანე შუქს რეპარაციის ბრძანებების აღსრულების დაწყებას. სასამართლო მოითხოვს, რომ მიზნების, შედეგებისა და რეპარაციის ბრძანების ეფექტიანად განსახორციელებლად აუცილებელი ნაბიჯების თვალსაზრისით DIP იყოს კონკრეტული ხასიათის.<sup>143</sup> ამგვარად, დაზარალებულთა ფონდი ვალდებულია, რომ უზრუნველყოს რეპარაციის პროექტების დეტალური აღწერა, მათ შორის ინფორმაცია რეპარაციის ტიპებისა და მოდულების შესახებ, რომელსაც დაზარალებულთა ფონდი მიზანშეწონილად მიიჩნევს თითოეული ზიანის გამოსასწორებლად. დაზარალებულთა ფონდმა ასევე უნდა წარმოადგინოს პროექტების განხორციელების ხარჯები და ვალდები.

ლუბანგას საქმეში, დაზარალებულთა ფონდმა 2015 წელს სასამართლოს წარუდგინა DIP კოლექტიური რეპარაციისთვის, რომელიც შეფასებულია, როგორც „გარდამტეხი მნიშვნელობის და უპრეცედენტო დოკუმენტი“.<sup>144</sup> მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს ამ დრისთვის დადგენილი არ ჰქონდა ბ-ნი ლუბანგას პასუხისმგებლობის ოდენობა, დაზარალებულთა ფონდმა პოტენციურად უფლებამოსილი დაზარალებულების რაოდენობა განსაზღვრა 3000 პირით<sup>145</sup> და გამოთქვა მზადყოფნა, რომ გამოყოფდა 1 მილიონ ევრო რეპარაციის DIP-ის აღსრულებისთვის.<sup>146</sup> 2016 წლის 9 თებერვალს, სასამართლო პალატამ დაადგინა, რომ წარმოდგენილი DIP იყო არასრული და, სხვა საკითხებთან ერთად, დაავალა დაზარალებულთა ფონდს, რომ დაეწყო პოტენციურად უფლებამოსილი დაზარალებულების იდენტიფიცირების და მათი ადგილსამყოფელის დადგენის პროცესი.<sup>147</sup> DIP საბოლოოდ დამტკიცდა 2016

139 Regulations of the Trust Fund, Regulation 47.

140 იქვე, Regulation 43.

141 Lubanga Judgment 2015, ზედა შენიშვნა 54, პარა. 106–117.

142 ICC Rules of Evidence and Procedure, Rule 98(3). Regulations of the Trust Fund, Regulations 54, 69.

143 იხ. მაგალითად Ntaganda Order 2021, ზედა შენიშვნა 35, პარა. 249.

144 TFV, “Trust Fund for Victims submits draft implementation plan for collective reparations to victims in the Lubanga case”, 4 November 2015, <https://www.icc-cpi.int/news/trust-fund-victims-submits-draft-implementation-plan-collective-reparations-victims-lubanga> (19.08.2022).

145 Lubanga, Draft Implementation Plan for collective reparations to victims Submitted to the Amended Reparations Order of 3 March 2015 in the case against Thomas Lubanga Dyilo (ICC-01/04-01/06), ICC-01/04-01/06-3177-AnxA, Trust Fund for Victims, 3 November 2015, para. 28.

146 იქვე., პარა. 174.

147 Lubanga, Order Instructing the Trust Fund for Victims to Supplement the Draft Implementation Plan, ICC-01/04-01/06-3198-t-ENG ICC, Trial Chamber II, 9 February 2016, paras. 10-15.

წლის 21 ოქტომბერს, მას შემდეგ, რაც პალატამ დადგინა, რომ DIP საკმარისად ასახავდა შემოთავაზებული სამომავლო პროექტების კონკრეტულ პარამეტრებს.<sup>148</sup> ამ პროცესმა მნიშვნელოვნად შეაყოვნა რეპარაციის ბრძანების აღსრულების პროცესის დაწყება.

კატანგას საქმეში, დაზარალებულთა ფონდმა პალატას DIP წარუდგინა 2017 წლის 25 ივლისს, რომელიც მოიცავდა 250 აშშ დოლარის ოდენობის ინდივიდუალური სიმბოლური კომპენსაციის მიღების უფლებამოსილ 297 იდენტიფიცირებულ დაზარალებულს, და კონკრეტულ დეტალებს იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც შემოთავაზებული იყო კოლექტიური რეპარაციის ქრილში.<sup>149</sup> აღ მაჰდის საქმეში, DIP წარდგენილ იქნა 2018 წლის 20 აპრილს და დამტკიცდა ორი თვის შემდეგ, „მიუხედავად სერიოზული დათქმებისა [...], სამომავლო შესწორებებისა და დაზარალებულთა ფონდის მიმართ არსებული მითითებებისა, როგორც ეს მოცემული იყო წინამდებარე გადაწყვეტილებაში“.<sup>150</sup> ნტაგანდას საქმეში, პალატამ დაამტკიცა თავდაპირველი DIP, რომელიც „საჭირო იყო ცვლილებების შეტანა და ინფორმაციის დამატებას დაზარალებულთა ფონდის მიერ“.<sup>151</sup> სამართალწარმოების ზემოხსენებული პროცესები აჩვენებს, რომ დაზარალებულთა ფონდის მიერ წარმოდგენილი DIP-ები ხშირად საჭიროებს არსებით ცვლილებებს და გაუმჯობესებას, სანამ ისინი საბოლოოდ დამტკიცდება პალატების მიერ. ეს შრომატევადი პროცესი კიდევ უფრო აჭიანურებს რეპარაციის, კერძოდ კი კოლექტიურ საფუძველზე გაცემული რეპარაციის პრაქტიკულ აღსრულებას.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, დაზარალებულთა ფონდმა მოაგროვა საკმარისი თანხები, რათა სრულად დაეფინანსებინა 1 მილიონი აშშ დოლარის რეპარაცია კატანგას საქმეში და პალატების მიერ დადგენილი მთლიანი ვალდებულების ნახევარი ლუბანგას (10 მილიონი აშშ დოლარი) და აღ მაჰდის (2,7 მილიონი ევრო) საქმეებში.<sup>152</sup> 2019 წლის შუა რიცხვებისთვის, კატანგას საქმეში დადგენილი 250 აშშ დოლარის სიმბოლური ინდივიდუალური კომპენსაცია სრულად მიეწოდა 297 ადამიანს.<sup>153</sup> აღ მაჰდის საქმეში დაზარალებულთა ფონდმა დაიწყო კოლექტიური რეპარაციის აღსრულება და ასრულებს სიმბოლური ინდივიდუალური რეპარაციის გადახდას 880-ზე მეტი დაზარალებულისთვის.<sup>154</sup> ნტაგანდას საქმეში კი დაზარალებულთა ფონდმა შეაგროვა 30 მილიონი აშშ დოლარის 6%.<sup>155</sup> დაფინანსების წყაროები მოიცავს დაზარალებულთა ფონდის არასაბიუჯეტო რესურსებს, რეპარაციის სარეზერვო ფონდს და დონორების მოძიებას, რომლის მეშვეობითაც

148 *Lubanga*, Order Approving the Proposed Plan of the Trust Fund for Victims in Relation to Symbolic Collective Reparations, ICC-01/04-01/06-3251, Trial Chamber II, 21 October 2016.

149 *Katanga*, Public redacted document Draft implementation plan relevant to Trial Chamber II’s order for reparations of 24 March 2017 (ICC-01/04-01/07-3728), ICC-01/04-01/07-3751-Red, Trust Fund for Victims, 25 July 2017.

150 *Al Mahdi*, Public redacted version of ‘Decision on Trust Fund for Victims’ Draft Implementation Plan for Reparations’, 12 July 2018, ICC-01/12-01/15-273-Red, Trial Chamber VIII, 12 July 2018.

151 *Ntaganda*, Decision on the TFFV’s initial draft implementation plan with focus on priority victims, ICC-01/04-02/06-2696, Trial Chamber II, 23 July 2021.

152 ნდობის ფონდის მართვის ბრიფი Q4/2021, 1 ოქტომბერი – 31 დეკემბერი 2021, 16.

153 TFFV, “The Katanga Case”, <https://www.trustfundforvictims.org/what-we-do/reparation-orders/katanga> (19.08.2022).

154 TFFV, “Ahmad Al Faqi Al Mahdi case: Collective Reparations Are Launched upon Completion of the Individual Reparations”, 12 July 2022, <https://www.trustfundforvictims.org/en/news/ahmad-al-faqi-al-mahdi-case-collective-reparations-are-launched-upon-completion-individual> (19.08.2022)

155 TFFV Management Brief Q4/2021, 1 October – 31 December 2021, 17.

დაზარალებულთა ფონდი იღებს ნებაყოფლობით შენატანებს რომის სტატუტის მონაწილე სახელმწიფოებისგან, რეპარაციის ან დახმარების პროგრამების აღსრულების მიზნით.<sup>156</sup>

## 5. დუსკენა

ICC-ის რეპარაციის სასამართლო პრაქტიკა ჯერ კიდევ არ არის სრულად ჩამოყალიბებული. იმის ფონზე, რომ ICC განიხილება საერთაშორისო სისხლის მართლმსაჯულების ახალგაზრდა ინსტიტუტად, მისი პრაქტიკა რეპარაციის შესახებ ორჯერ უფრო ახალგაზრდაა, ვინაიდან 20 წლის სასამართლოს აქვს რეპარაციის პრაქტიკის მხოლოდ ათწლიანი გამოცდილება. თუმცა, განსხვავებით ათი წლის წინანდელი სიტუაციისგან, როდესაც სასამართლოს საერთოდ არ ჰქონდა რეპარაციის განხილვის პრაქტიკა შესახებ, დღევანდელი მდგომარეობით, სასამართლომ ჩამოაყალიბა, განმარტა და განავითარა რეპარაციის მანდატის ძირითადი ელემენტები, პროცედურები და პრინციპები. *ლუბანგას* საქმეში ჩამოყალიბებულმა ზოგადმა პრინციპებმა შეასრულა სახელმძღვანელო გზამკვლევის როლი სასამართლოს პალატებისთვის, რომლებმაც *ლუბანგას* პრინციპები მოარგეს თითოეული საქმის სპეციფიკურ მახასიათებლებს. *ალ მაჰდის* საქმეში სასამართლო პალატამ შეიმუშავა რეპარაციის პრინციპები კულტურული მემკვიდრეობის განადგურებით გამოწვეული ზიანის კონტექსტში. *ნტაგანდას* საქმეში სასამართლო პალატამ მოახდინა ექვსი ახალი პრინციპის იდენტიფიცირება, რათა *ლუბანგას* პრინციპები მიესადაგებინა SGBV-ის მსხვერპლთა, განსაკუთრებით კი გაუპატიურების შედეგად დაზარალებული ბავშვების საჭიროებებზე. შედეგად, იხვეწება ICC-ის რეპარაციის რეჟიმის კონტურები, რაც გაგრძელდება მომავალშიც.

ICC-ის პრაქტიკა აჩვენებს, რომ დაზარალებულზე ორიენტირებული მართლმსაჯულების განხორციელება რეპარაციის მეშვეობით არ არის სწრაფი მართლმსაჯულება – დაზარალებულები „ელოდებიან მთელი ცხოვრება“<sup>157</sup> დანაშაულის ჩადენიდან რეპარაციის პროცესის დაწყებამდე გადის მრავალი წელი. *ლუბანგას*, *კატანგას* და *ნტაგანდას* საქმეებში დანაშაულები ჩადენილი იქნა 2003 წელს. *ლუბანგას* საქმეში, დაზარალებულთა ფონდის მიერ წარდგენილი რეპარაციის განხორციელების გეგმის პროექტი სასამართლომ არ დაამტკიცა 2016 წლამდე. *კატანგას* და *ნტაგანდას* საქმეებში რეპარაციის ბრძანებები გამოიცა მხოლოდ 2017 და 2021 წლებში. ამის შემდეგაც კი, დაზარალებულებს უწევთ ლოდინი, სანამ საბოლოოდ არ გადაწყდება სასამართლოსა და დაზარალებულთა ფონდს შორის წარმოქმნილი გაურკვევლობები რეპარაციის აღსრულებაში კომპეტენციათა გამიჯვნის შესახებ, რასაც ემატება შესაბამისი დაზარალებულის იდენტიფიცირება და DIP-ების საბოლოოდ დამტკიცება.

156 იქვე., 16-17

157 Expert Review, ზედა შენიშვნა 24, პარა. 879.

საკმარისი ფინანსური რესურსები და უფლებამოსილ დაზარალებულთა იდენტიფიკაცია კვლავ რჩება რეპარაციის პროცესის ძირითად საკითხებად. მსჯავრდებულების გადახდისუუნარობის შედეგად, რეპარაციის დაფინანსების ძირითადი ტვირთი ეკისრება დაზარალებულთა ფონდს. ფონდი დაარსდა, როგორც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულთაგან შეგროვებული თანხების უბრალო დეპოზიტარი, თუმცა გადაიქცა ICC-ის რეპარაციული მართლმსაჯულების განიყოფელ ელემენტად. დაზარალებულთა ფონდი ასრულებს ცენტრალურ როლს ICC-ის მიერ გაცემული ყველა რეპარაციის პრაქტიკულ განხორციელებაში, დაწყებული უფლებამოსილი დაზარალებულების იდენტიფიკაციით და DIP-ების მომზადებით, დამთავრებული რეპარაციის დაფინანსებით, ფინანსური სახსრების მოზიდვის კამპანიებითა და ადგილობრივ პარტნიორებთან მუშაობით.

გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ICC-ის რეპარაციის მანდატის თანმხლები რიტორიკის დაბალანსებას და მსხვერპლთა მაღალი მოლოდინების მართვას. ICC-ის რეპარაციის რეჟიმი შეიქმნა თანდაყოლილი შეზღუდვებით, რომელთა გადალახვა შეუძლებელია რომის სტატუტის ფუნდამენტური გადახედვის გარეშე. სასამართლოს არ აქვს სხვა გზა, გარდა იმისა, რომ მოახდინოს რეპარაციული უფლებამოსილების მაქსიმალური ოპერაციონალიზაცია არსებული ჩარჩოს ფარგლებში, რომელმაც გამორიცხა სახელმწიფოს პასუხისმგებლობა და განავითარა მსჯავრდებაზე დაფუძნებული რეჟიმი. ICC-ის რეპარაციის სქემის ეს ძირითადი მახასიათებლები და მათი შედეგები ყოველთვის მხედველობაში უნდა იქნას მიღებული რეპარაციული მართლმსაჯულების კუთხით ICC-ის წარმატების შეფასებისას. წინააღმდეგ შემთხვევაში, რიტორიკა იმის შესახებ, რომ ICC-ის აქვს უფლებამოსილება, რათა „მართლმსაჯულება აქციოს ხელშესახებ რეალობად“ დაზარალებულების რეპარაციის გზით, ყოველთვის გამოიწვევს არარეალურ მოლოდინებს.